პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი | № 66 (12274) | კვირა, 18 მარტი, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.

მოსკოვი. წითელი მოედანი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

შენთვის, სამშობლოვ!

საბჭოთა დემოკრატიის ზეიმი

დღეს არჩევნებია!

საბჭოთა ადამიანები ამ დღეისათვის ემზადებოდნენ როგორც დიდი დღესასწაულისათვის.

მილიონობით საბჭოთა ადამიანი — მოხუცები და ახალგაზრდები, ქალები და კაცები, ქალაქისა და სოფლის მცხოვრებლები მივლენ საარჩევნო უფლებათან და განახორციელებენ თავიანთ მოქალაქეობრივ უფლებას — მონაწილეობას მიიღებენ ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში.

არჩევნების დღეს საბჭოთა ადამიანი მთელი ძალით შეიგრძნობს თავისუფალი ცხოვრების სიდიადეს, სამშობლო ჭვეყნის ძალასა და ძლიერებას, ჭვეყნისა, რომლის ბატონ-პატრონი თვითონ არის. შეიგრძნობს იმ ჭვლილს, რომელიც მას შეუტანია სამშობლო ჭვეყნის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დიად საქმეში, და განსჭვრეტს მრავალი სიხელითა და ბედნიერებით აღსავსე ნათელ მომავალს.

გასული ოთხი წელი ჩვენი ცხოვრების ლარსმოსანიშნავი პერიოდი იყო. ეს იყო შვიდწლიანი გეგმის შესრულებისათვის საბჭოთა ხალხის შეუპოვარი ბრძოლის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის ძლავრი აღმავლობის, საბჭოთა სახელმწიფოს შემდგომი განვითარებისა და საყოველთაოსახალხო სოციალისტური დემოკრატიის აყვავების პერიოდი.

პარტიას მტკიცედ და თანმიმდევრულად მიჰყავდა ჩვენი ჭვეყანა სკკპ XX ყრილობის მიერ შემუშავებული ლენინური კურსით.

წელს არჩევნებისათვის მზადება დაემთხვა დიდმნიშვნელოვან მოვლენას — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს, რომელმაც განიხილა და განსაზღვრა პარტიის ამოცანები სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ახლა ყოველ დღეს მოაქვს სასიხარულო ცნობები იმის შესახებ, თუ რა თავდადებით შრომობენ ადამიანები საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და დაწესებულებებში, თუ რა ძლავრი გაქანებით მიდის წინ მეცნიერება, ტექნიკა, ლიტერატურა და ხელოვნება.

ეს წინსვლა და შრომითი აღმაფრენა გულს უხარებს ყველა ამმრჩეველს. იგი საარჩევნო ყუთში კანონიერი სიამაყის გრძნობით ჩაუშვებს ბიულეტენს, რომელზეც კომუნისტებისა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის კანდიდატის სახელია აღბეჭდილი.

ეს დიდი ოჯალაქეობრივი მოვალეობა — თავისი მართალი ხმის მიცემით საბჭოთა ადამიანი ხმას მისცემს კომუნისტური პარტიის ბრძნულ პოლიტიკას, იმ დიად ამოცანათა განხორციელებას, რომლებიც დასახულია პარტიის მიმართვაში ყველა ამმრჩეველისადმი. საბჭოთა ადამიანი ხმას მისცემს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, კულტურისა და მეცნიერების შემდგომი აღმავლობის დიად გეგმებს, კაცობრიობის ნათელი მომავლის — კომუნიზმის გიგანტურ მშენებლობას.

განვლილმა ოთხმა წელმა, რაც წარსულ არჩევნებს გვაშორებს, ყველა საბჭოთა ადამიანს კვლავ უჩვენა, რომ ლენინის მიერ შექმნილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სიტყვა და საქმე მუდამ ერთია. ყოველივე, რასაც პარტია ისახავს, ხორციელდება. ლენინის პარტიას არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს სხვა საქმე, გარდა ხალხისათვის უანგარო სამსახურისა. „პარტია არსებობს ხალხისათვის, — ნათქვამია სკკპ პროგრამაში, — მისთვის სამსახური მიაჩნია თავისი საქმიანობის აზრად". საქმიან და უქმე დღეებში, განსაცდელსა და სიხარულის დღეებში პარტია ყოველთვის იყო და არის ხალხთან ერთად, გამოხატავს მის ნებას, მის ძირეულ ინტერესებს.

დღესაც, როგორც წინა არჩევნებში, კომუნისტური პარტია სსრკ უმაღლესი საბჭოს არჩევნებში გამოდის უპარტიო მუშებთან, გლეხებთან, ინტელიგენციასთან მჭიდრო ერთიანობით, ურღვევი კავშირით.

ჩვენი სოციალისტური დემოკრატიის ძალა და ღირსება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ თვითონ ხალხი იღებს უშუალო მონაწილეობას უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს შემადგენლობის განსაზღვრაში. თვითონ ხალხი ასახელებს დეპუტატობის კანდიდატებად მოწინავე ადამიანებს თავისივე რიგებიდან. წელსაც, როგორც წინა არჩევნებში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების დიდი ნაწილი — თითქმის ნახევარი მუშები და კოლმეურნეები არიან, რომლებიც უშუალოდ ქმნიან ჭვეყნის მატერიალურ დოვლათს. დანარჩენი კანდიდატები შრომითი ინტელიგენციის წარმომადგენლები არიან. დეპუტატობის კანდიდატთა შორის ბევრია ქალი.

სად, დასავლეთის რომელი ჭვეყნის პარლამენტს ჰყავს ასეთი შემადგენლობა, სად, დასავლეთის რომელ ჭვეყანაში აქვთ ახე გაშლილი ასპარეზი სახელმწიფო მმართველობაში მუშებს, გლეხებს, საერთოდ მშრომელ ადამიანებს!

დღეს 18 მარტია — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღე. ჩვენი ჭვეყნის მშრომელები დამსახურებული სიამაყით მოიხდიან მოქალაქეობრივ მოვალეობას — ერთსულოვნად აირჩევენ ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს — სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს, ხმას მისცემენ ყველაზე რჩეულ ადამიანებს, რომლებმაც ხალხთა ბედნიერებისათვის თავიანთი თავდადებული შრომით დამსახურეს მაღალი ნდობა ყოფილიყვნენ კომუნისტებისა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატები.

მშრომელებმა იციან, რომ ამ პატრიოტული მოქალაქეობრივი მოვალეობის მოხდით ისინი ხმას აძლევენ პარტიის XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებას, ჩვენი სამშობლოს ძლიერების განმტკიცებას, ხალხის კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას, მთელ მსოფლიოში მშვიდობის გამარჯვებას.

ყველანი არჩევნებზე, ამხანაგებო!

დიე დღევანდელი დღე — დღე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისა იყოს საბჭოთა დემოკრატიის ზეიმი, კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და ხალხის ერთიანობის ძლავრი დემონსტრაცია.

მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით, კომუნისტური პარტიის ნაცადი ხელმძღვანელობით — წინ, კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ!

სამშობლომ დაგასახელა

კვირტი ივსება სიცოცხლით,
მინდვრის ყვავილი — სურნელით;
რასაც უყურებ, ხნული თუ
მთების ჩახვეული ღრუბელი,
დღეს ყველაფერი გიღიმის,
შენი სიკეთის მსურველი.

ეს თვე, ეს დღე და ეს წუთი
ნურასდროს დაითალხება,
დაიმახსოვრე, ვაჟკაცო,
ეს დიდი ნდობის გამხელა,
შენ რომ შშვიდობის წინამძღვრად
სამშობლომ დაგასახელა.

დაგასახელეთ, რჩეულო,
ჩვენს ხმასაც გაგიზიარებთ,
შენთვის შეკვნესვა რამდენიც
ყვავილი გაიშრიალებს,
გაგვიძეს, თავისუფლების
მართალი გზებით იარე.

ვასტანგ გოგრგანელი.

...ეს ... ...

ახლა ყველგან, სოფელსა და ქალაქში, ყოველი კოლმეურნისა თუ მუშის ოჯახში მსჯელობენ მშობლიური პარტიის ბლწმის ისტორიულ გადაწყვეტილებებზე, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში აღძრული საკითხებზე, სახავენ ახალ გეგმებს, ვეზადებიან შვიდწლედის მეოთხე წლის უნვი მოსავლის მიღებისათვის.

ასეა ჩვენთანაც. ჩვენი კოლმეურნეობა ყოველწლიურად ცატრუსოვანთა ნაყოფის მაღალ მოსავალს ღებულობს. შარშანაც ისახელა თავი.

უპატაკებენ წითელწყაროელები

წელს წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობები 85.000-ზე მეტ ცხვარს დაადოლებენ. ადრეული დოლი ჭქონდა სოფელ ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობის იმ ბრიგადას, რომელსაც მ. ნასრაშვილი ხელმძღვანელობს. მეცხვარეებმა უკვე მიიღეს 37.470 ბატკანი.

სოფელ არბოშიკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხვარეები, რომლებიც 13.700 ცხვარს დაადოლებენ, კარგად მოემზადნენ ამ სერიოზული კამპანიისათვის და ორგანიზებულად აბარებენ დოლს. მათ უკვე მიიღეს 11.000 სული ბატკანი. დოლის ორგანიზებულად ჩატარების საქმეში საუკეთესოდ იმუშავეს იორამ გონაშვილის, დავით ბატიაშვილის და თადო ბაღაშვილის ბრიგადების მწყემსებმა.

14.000-მდე ცხვარს დაადოლებს აგრეთვე სოფელ წითელწყაროს ლენინის სახელობის კოლმეურნეობა.

გ. გოჩიტაშვილი.

მტკიცეა ჩვენი სიტყვა და საქმე

ამ ბრიგადამ, რომელსაც გზელმძღვანელობ, გასულ წელს 2.450 ძირ ხეზე მილიონნახევარ ცალამდე ციტრუსი მიიღო. ყოველ ერთ ხეზე მოღებულია თითქმის 600 ცალი ნაყოფი.

გვყავს მოწინავე მეციტრუსეები, რომლებიც სისტემატურად უხვ მოსავალს იღებენ. მაგალითად, კოლმეურნე დ. ბაკურაძეს 220 ძირ ნარგავზე 424 ათასი ცალი ნაყოფი მიიღო, ანუ საშუალოდ ერთ ძირზე 1930 ცალი.

პრაქტიკამ დაგვარწმუნა, რომ უფრო მეტის მიღება შეიძლება, თუ კი მზრუნველობით მოვუფლეთ ციტრუსოვანთა ბაღებს. ჩვენმა ბრიგადამ გადაწყვეტა მიმდინარე წელს საშუალოდ ერთ ძირზე მიიღოს 650 ცალი ნაყოფი. ამისათვის ახლა ყველაფერს გაკეთებთ. საქმით ვუპასუხებთ პარტიის მოწოდებას.

ზ. მალაყმაძე,

ბათუმის რაიონის სოფელ გონიოს კოლმეურნეობის ბრიგადის ხელმძღვანელი.

...ეს ... ...

...

... სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის მასალებს, უკვირდები, და გული სიამაყით გევსება, გსურს მთელი არსებით შრომად იქცე.

გასულ წელს კარგად ვიმუშავე, მოეწველობას 4.500 კილოგრამი „მწვანე ოქრო" ჩავაბარე 0,5 ჰექტარი პლანტაციიდან, მაგრამ წელს ეს არ მაკმაყოფილებს. გადავწყვიტე პლანტაციის იმავე ნაკვეთზე მოვკრიფო 6.000 კილოგრამი ჩაი.

ამ ვალდებულების გასანაღდებლად თავდადებით ვშრომობ. პლანტაციაში ყველა სახამთრო სამუშაო დავამთავრე. ახლა ჩაის ბუჩქებს ვსხლავ. ამ სამუშაოს დროულად შევასრულებ. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს შრომითი წარმატებით ვხვდები.

ნ. ზაქარიაძე,

მახარაძის რაიონის კოლმეურნეობა „უკრაინის" მეჩაიე.

...

... ...

...

... ...

...

...

... ...

...

...

... ...

##

რუსთავის ჩირაღდნები

ეს არ იყო ოთხი წლის წინათ

მარად მხრჩოლავი მილები რუსთავის ცაზე ღრუბლებს რომ ებჯინებიან, მარტენებიდან და ბრძმედებიდან აღმართულან. ქვემოთ საამქროებში გავარვარებულ ღუმელებთან დგანან მუქსათვალიანი, რკინის ხელკეტებმომარჯვებული, ვაჟკაცები — ქართული ფოლადისა და თოჯის ოსტატები.

შრომა, ფუსფუსი, ძიება, შემართება! — ეი რა იგრძნობა ამ დღეებში მეტალურგიულ ქარხანაში. და განა მარტო მეტალურგიულ ქარხანაში?—რუსთავის სატვირთო სადგურიდან ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხისაკენ იგზავნება ცემენტი, მინერალური სასუქები, მექანიზმები, მსუბუქი მრეწველობის მრავალი სახის პროდუქცია.

მეფოლადეთა ქალაქი რუსთავი ინდუსტრიული გიგანტია. იგი დღითიდღე იზრდება, ვაჟკაცდება.

ქალაქის არსებობას სულ რაღაც 14 წლის ისტორია აქვს. მაგრამ ის უკვე საქართველოს ერთ-ერთი მსხვილი სამრეწველო ცენტრია, ბევრი რამ გაკეთდა აქ უკანასკნელ ოთხ წელიწადში.

რუსთავის მარჯვენა ნაპირის დასახლებას რომ თვალიერებთ, შეუძლებელია აღტაცებით არ წამოიძახოთ:

— ბარაქალა თქვენ, რუსთაველო მშენებლებო.

ოთხი წლის წინათ აქ ხომ ერთი სახლიც არ იდგა! დღეს თვალს ხიბლავს მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები, ფართო მოასფალტებული ქუჩები, გაზონებსა და მწვანე სამოსელში რომ ჩაუსვამთ; სკოლები, კინოთეატრები, საბავშვო ბაღები, ბაღები, სასადილოები, მაღაზიები, კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტები. ერთი სიტყვით, აქ ყველაფერი, რაც თანამედროვე ქალაქს სჭირდება. ყველაზე კარგი და მნიშვნელოვანი აქ არის ცენტრალური მოედანი, რომელსაც რუსთაველებმა მეგობრობის მოედანი შეარქვეს.

ეს შემთხვევითი როდია. რუსთავი მეგობრობის ქალაქია. აქ ცხოვრობს და შემოქმედებით საქმიანობას ეწევა 40-ზე მეტი ეროვნების წარმომადგენელი. მეგობრობის მოედანიც სწორედ მათი მეგობრობის აღსანიშნავად დაარქვეს ამ ადგილს.

№ 4 ავტობუსში ვზივართ. იგი მოძრაობს ლენინის ცენტრალური მოედნიდან აზოტოვანი სასუქების ქარხნამდე. ყურადღებას იპყრობს ვ. ი. ლენინის შესანიშნავი ძეგლი, 1960 წელს რომ გაიხსნა. აქვეა უზარმაზარი შენობა, რომელშიც ორი წლის წინ გადმოვიდა პარტიის საქალაქო კომიტეტი, ქალაქის რაისაბჭოს აღმასკომი და სხვა დაწესებულებები.

არც ეს იყო 4 წლის წინ, — ამბობენ ავტორი მკვიდრნი და ხელს იმვერენ ულამაზესი შენობისაკენ, რომელშიც მოთავსებულია მუსიკალური სკოლა და მუსიკალური ტექნიკუმი.

ავტობუსი განაგრძობს გზას. მარცხნივ და მარჯვნივ მოჩანს ახალთახალი ნაგებობები: ეს მეცამეტეთა და ქიმიკოსთა საცხოვრებელი სახლებია.

ავტობუსმა გადასერა რკინიგზის ლიანდაგი. გამოჩნდა ახალმშენებლობათა მოედნები. ეს პირველი — სახლთმშენებელი კომბინატია. იგი სულ ახლო ხანში გადაეცემა საექსპლოატაციოდ, რაც ხელს შეუწყობს რუსთავის კიდევ უფრო ფართო მასშტაბით გაზრდას.

გასცდებით თუ არა ამ ობიექტს, უკვე იწყება „დიდი ქიმიის“ საწარმოები, 4 წლის წინათ საფუძველიც რომ არ ჰქონდა ჩაყრილი. წელს ექსპლოატაციაში შევა და ამოქმედდება კაპროლაქტების უზარმაზარი საწარმო, ხოლო ამის ბაზაზე ამუშავდება სინთეზური ბოჭკოს დიდი ქარხანა. ეს ორი საწარმო დაიკავებს 70 ჰექტარზე მეტ ტერიტორიას!

ოთხი წელი განა დიდი დროა? მაგრამ რუსთაველთა ცხოვრებაში მრავალი ცვლილება მოხდა. ამოქმედდა და მწყობრში ჩადგა წიდა-ბამბის ქარხანა, მილსაადუღო საამქრო, ხალიჩების ფაბრიკა. რეკონსტრუქცია გაუკეთდა მარტენისა და ბრძმედის ღუმელებს.

მრავალი საინტერესო რამ მოხდა ტექნიკური პროგრესის დასანერგავად. წარმოებაში მარტო ბუნებრივი გაზის მასობრივად გამოყენებამ 15-20 პროცენტით გაზარდა შრომის ნაყოფიერება, გაუმჯობესდა წარმოების კულტურა. ბუნებრივი გაზი არა მარტო წარმოებაში, არამედ მშრომელთა ყოფაცხოვრებაშიც დამკვიდრდა. დღეისათვის გაზიფიცირებულია 3.000-ზე მეტი საცხოვრებელი ბინა.

მთელ ჩვენს ქვეყანაში ფართოდ გავრცელდა ხმა დგან „400“-ის კომპლექსური ავტომატიზაციის დანერგვის შესახებ. აღნიშნული დგანის კომპლექსური ავტომატიზაცია გასულ წელს აქ პირველად განხორციელდა მსოფლიოს მეტალურგიაში. ამიტომ არის, რომ ამ სიახლის ავტორები წარდგენილი არიან ლენინურ პრემიაზე.

უკანასკნელი წლების მანძილზე რენტაბელური მუშაობის დანერგვამ, ტექნიკური პროგრესის ზრდამ საშუალება მისცა ქარხნის კოლექტივს საქვეყნოდ გავლაზინებულ, რომ 1965 წლისათვის გათვალისწინებულ დონეს პროდუქციის წარმოების მხრივ მიაღწევენ ორი წლით ადრე, 1963 წლის ბოლოს.

არის კიდევ ერთი სიახლე, რომელიც დაინერგა რუსთავში ამ უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე. კომუნისტური შრომა, სწავლა, ცხოვრება! — ეი მთავარი სიახლე, თუ სამი წლის წინ აქ მხოლოდ ორი კომუნისტური შრომის ბრიგადა იყო, ახლა მათი რიცხვი 40-ს აჭარბებს. და განა მარტო ბრიგადა? ამ საპატიო სახელს ატარებენ ცალკეული, უბნების და თვით საამქროების კოლექტივები. ამჟამად რუსთავის მშრომელები იმისათვის იბრძვიან, რომ გადააქციონ რუსთავი კომუნისტური შრომისა და მაღალი კულტურის ქალაქად.

კომუნისტური შრომის მოძრაობიდან არცთუ ისე დიდი დროა გასული, მაგრამ ქალაქში უკვე ჩანს კომუნიზმის ხილული ნიშნები. ესენია: ავტობუსებისა და კინოთეატრების მუშაობა უკონტროლიოროდ, კულტურისა და დასვენების პარკში უფასოდ შესვლა, საამქროებში ტექნიკური კონტროლიორებისა და აღმრიცხველების შტატების გაუქმება, სწავლაში ყველა ახალგაზრდის ჩაბმა...

ასე გაიზარდა და დავაკაცდა რუსთავი უკანასკნელ ოთხ წელიწადში. მაგრამ ყოველივე ეს მაინც წვეთია ზღვაში იმასთან შედარებით, რაც უნდა გაკეთდეს აქ უახლოეს 15-20 წელიწადში, რომ საბჭოთა ხალხი ძირითადად ააშენებს კომუნიზმის დიდებულ შენობას.

შორს არ არის სანუკვარი კომუნიზმის დღე, უკვე მოჩანს ნათელი ჰორიზონტი, რომელიც არამარტო ჩვენ ხალხს, არამედ მთელ კაცობრიობას მოუტანს ბედნიერებას. საბჭოთა ხალხი ამ საკაცობრიო საქმის მეთაური და განმახორციელებელია. ყოველი ქალაქი, ყოველი ქარხანა, თვითეული ჩვენგანი ამ დიდი საქმის ჯარისკაცია. საამაყოა, რომ რუსთაველებს თავიანთი სასახელო, სანაქებო შრომით ღირსეული წვლილი შეაქვთ ამ საშვილიშვილო საქმეში. ანთია რუსთავის ჩირაღდნები... ანთია ძლიერად და კაშკაშად. ეს ჩირაღდნები ბედნიერების გზას ანათებს.

ზ. მერკვილაძე.

პირველად, სულ პირველად მიდიან არჩევნებზე ეს მხიარული ახალგაზრდები. ისინი თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ფეიერვერი არიან. ჯერ მოწაფეებად დაიწყეს მუშაობა, თანდათანობით გაიწაფეს ხელი და ახლა უკვე ოსტატობასაც ჩემობენ.

და აი ახლა ისინი პირველად იყენებენ საბჭოთა მოქალაქის ამ მაღალ უფლებას, ხმას მისცემენ მშვიდობას, ბედნიერ ცხოვრებას.

• • •

სურათზე: მურად გველესიანი, ფლორა მარშანია, მზია ლეანელი, ნელი დაუშვილი, და ნანული მაზმიშვილი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ჩვენი მასპინძლის სასახლე...

წელს სამი დრო იყო კახეთში — გაზაფხული, ზაფხული და შემოდგომა.

ზამთარი გამორჩა ბუნებას. ერთი-ორჯერ იპნიკლა ამინდმა, ენის მიმტანივით ჩამოისისინა ზენა ქარმა, შემოიბობოქრა, შემოიწრიალა სოფელი და წავიდა. ეს იყო და ეს...

ერთი ფიფქიც არ მოსწყვეტია ზეცას. არა და რა ლაზათიანი ზამთარი იცის ხანდახან.

გირორგიმ ზეცას ახედა. ფრჩხილი, ახალი მთვარე მუცლით ქვემოთ, საავდროდ ეკიდა ცაზე. ისეთი სიხუმრე იდგა, უკაცრიელი გეგონებოდათ ქვეყანა.

გზას მიაყურა და მანქანის ხმაც არ ისმოდა. შინ შებრუნებას არ ჩქარობდა, უცახო კაცივით მიიხედ-მოიხედა. თეთრი, სულ თეთრი კავკასიონი მთვარის შუქზე მართლაც დიდებული იყო.

იქვე მურიამ გაიწკმუტუნა და ფეხებში მიელაქუცა პატრონს. ეამა გირორგის სულელური სიახლოვე. ერთხანს ასე იდგა უცხო კაცივით. მერე ჯიშკანი გააღო, ალაგეზე გადავიდა და ღობის გადალმიდან მოხედა სახლკარს.

...მაინც რა არის ფიქრი: წამი და ისე მოგატარებს ქვეყანას, ვითომ არაფერი, მარტო ფერს შეუძლია წარსულის დაბრუნება, მომავლის ჩვენება.

ფიქრი აეკიდა გირორგის, მურიაც აეკიდა კვალდაკვალ.

ეჰ, ჩემო მურია, უნდა გესმოდეს კაცის ენა, რამდენ რამეს გიტყოდა!.. შენ ახლა ძაღლის პირობაზე ჰქვიანიც ხარ, ერთგულიც, პატიოსანიც... და მითხარი ერთი, არ არის გასაბრაზებელი?.. სად არიან ახლა ის ბიჭები ამდენხანს, გული მოგვავა და... პატარები ხომ აღარ ვართო, დაიწყებენ ფუდღუნს, ცოლშვილიანებიო, ექიმები ვართო, ინჟინრები ვართო... რა თავში ვიხლი მაგათ დიალომებს. შვილები არიან... ჩემი შვილები. ეს კი -ამას ნიშნავს, რომ შინ დროზე უნდა დაბრუნდნენ. ამა შენ თქვი, მურია, სწორია ახლა ეს? რაღონში ჰიდამბა იმართებოთ და ამ კეირა დღეს სამივე ძმა აცივდნენ და წავიდნენ...

არ ბრაზობდა გირორგი, ისე თავს იქცევდა. ქალები ვახშმის სამზადისში იყვნენ, ბავშვები გაკვეთილებს ბუტბუტებდნენ. გირორგის ღვინო ჰქონდა ამოსაღები (ამ საქმეს არავის ანდობს) და ამოიღო, წლის ღამე დგას, და ამ ხანში ეფიქრა მეფის ლაშქრის სამყოფ ღვინოს ამოიღებდა კაცი.

უფროსი რძალი ამბობდა, ბავშვისთვის ნოტები ვერ ვიშოვნე და ქალაქში უნდა წავიდეო. რძლის სიტყვები გაიხსენა ახლა გირორგიმ. გაეღიმა, ფიქრს გაუცინა. გესმით, ხალხო?.. ჩემი შვილიშვილის ნოტებისთვის ქალაქში მიდიან... რატომღაც ხელებზე დაიხედა გირორგიმ და კვლავ გაიღიმა.

მერე თავის სახლს მოხედა, უზარმაზარ ქვიტკირის შენობას. 27-ოთახიანია ეს სახლი, წინ სვეტებიანი აივნებით, მეორე სართულზე სადარბაზოების თავზე წყლის აუზებით. გირორგის ანგარიშით წელს უნდა მორჩნენ მთლიანად ყველა სამუშაოს, მაშინ ცენტრალური გათბობაც ექნებათ.

ახსოვს გირორგის, კარგად ახსოვს, აქ რომ დასახლდნენ სოფლელები; ჯერ ხოშატიანი დასახლდა, მერე ლელიანი, მერე ავეენი, ონანაური და ჭაბუკიანი. აქ ისეთი უღრანი ტყეები იყო, შიგ შესული კაცი ცას ვერ შეხედავდა.

გუშინდელ დღესავით ახსოვს გირორგის, რა ტანჯვა-წვალებით იყიდა მამამისმა აქ ერთი ხელისდადება მიწა ვაჩნაძეებისაგან. თითქმის სამოცი წელი გავიდა მას შემდეგ. აქ გაიარა მისმა სიცოცხლემ, კაცობამ. რაც გირორგის მამასა და მის ძმებს აქ ოფლი უღვრიათ, წისქვილს ააბრუნებდა. ტრაქტორისტი იყო, მერე მექანიკოსი, ახლა პენსიონერია. სიბერე მოსულა და ეს არის...

გირორგის ახსოვს, როცა მამამისი აქ ტყეს კაფავდა, პერანგს იხდიდა, ერთად ერთია, უნდა გავუფრთხილდეო. ისიც ახსოვს, რა სიხარული იყო, როცა მამამ ერთი ბეხრეკი კამეჩი იყიდა და ცალულელა გამართა. ძმებს დიდხანს ჰქონდათ მამისეული ცალულელა, ალბათ გადაღსულ ავადმოსაგონარ დღეთა სამახსოვროდ.

გირორგი და მისი მომდევნო ძმა მალაქია გაუყოფლად ცხოვრობდნენ. მათი ძმობის ამბავი სოფელს სამაგალითოდ ჰქონდა. გირორგი მექანიკოსი იყო, მალაქია ტრაქტორისტი. სოფლის მექანიზაციის საქმის პირველი თავკაცები. კარგი იმედი დავკარგე, კარგი ბურჯი გამომეცალა! — დარდით იტყვის გირორგი მალაქიას გახსენებაზე და თვალს მოგარიდებს. — რა არ ვქენით, სახლშიც გვყავს ექიმი, სოფელშიც, რაიონშიც გვყავდა, ქალაქშიც, მაგრამ...

შარშან გარდაიცვალა ტრაქტორისტი, ჩუმი, გამრჯე კაცი.

— არ ვგრძელებ, მამა! — მესამედ გამოაკითხა გირორგის რძალმა.

„არ მოგცემენ საშველს.“ გული მოუვიდა გირორგის. წინათ არ შეუფიჩვია, ამ ბოლო დროს მეტისმეტად ზრუნავენ მასზე ქალები. აი დედასა, ვითომ რაო, სიბერე შეატყეს?..

— მოვდივარ, ადამიანო, — შეეხმიანა რძალს მამამთილი და შინისაკენ გასწია.

ტყემ მოისხა ფოთოლი... ტყემ მოისხა ფოთოლი... ზეპირობდა რომელღაც ბავშვი. გირორგი ახლა ფანჯარას მიადგა.

შორიდან მანქანის ხმა მოისმა და მალე ჯიშკართან გაჩერდა კიდეც. — მობრძანდნენ, გიფიქრა გირორგიმ. მაგრამ მანქანიდან ჩვეულებრივ სამი ძმის ნაცვლად უცნობი სილუეტი გადმოვიდა. ვერ შეიცნო ახლადმოსული.

— მასპინძელო!... გირორგი, ა... გირორგი! — დაიძახა მოსულმა.

— დამლახვრეს ეშმაკმა, ეს თუ ჩვენი თავმჯდომარე არ არის, — გაიფიქრა გირორგიმ და საჩქაროდ გარეთ გავიდა.

ეამა გირორგის სოფლის თავკაცის სტუმრობა. გონიერი, საქმიანი ბიჭიაო, ადრეც უთქვამს.

— ვინ ბრძანდებით?.. მაინც გასძახა გირორგიმ კიბიდან და მურიას დაუტია— ჩუმად, შე მგლის არჩივო.

— დაუპატიჟებელი სტუმარი მომხდურ თათარზე უარესიაო! — სიცილით შეეგება თავმჯდომარე გირორგის.

გაეხარდა მოხუცს სერგო ცოტაძის ნახვა, უსიტყვოდ მოჰკიდა ხელი და სახლისაკენ წაიყვანა, თან შოფერს გასძახა, თუ კაცი ხარ, ეგ შენი მანქანა ეზოში შემოიყვანეო.

მოიკითხა თავმჯდომარე. ჯიკილები ვნახეო, უთხრა, გავიგე, ბარდა დაგითესია, კარგი საქმე გიქნიაო. ცდილობდა გირორგი ყველაფერი ეთქვა სტუმრისათვის, რომ თავმჯდომარეს არ ეფიქრა: მოხუცდა გირორგი, პენსიაზე წავიდა და სოფლის ცხოვრების არა გაეგება რაო.

თავმჯდომარესაც ეამა გირორგის სიტყვები, უყვარს ეს მოხუცი, იცის, რასაც ბორრი იტყვის და მოიწონებს, სოფლის უხუცესთა აზრი და ნათქვამია, და ხომ იცით, ძველი ხარისა რქებიც ნნავენო.

გუმანით მიხვდა გირორგი, რომ თავმჯდომარე ტყუილად არ არის მოსული. ბიჭები შინ არ არიან, მაგრამ სადაც არის გამოჩნდებიანო, უთხრა აივანზე ასულს და შინ შეიძღვა.

სოფლის ახალ წისქვილზე ჩამოვარდა ლაპარაკი. აქ ახლახან დიდი ელექტროწისქვილი ამუშავდა. არც ერთ თავადიშვილს სიზმარშიც არ მოელანდებოდა ამხელა წისქვილიო, თქვა გირორგიმ და დაუმატა: სიტყვა მინდი აღარ ეცოდინებათ ამ სოფლის ახლადწამოზრდილებს, წისქვილი უფასოა!

ფიქრი მაინც იმ ბიჭებზე ჰქონდა, რომ წავიდნენ და დაიკარგნენ.

თავმჯდომარემ ანგელინა, მაყვალა, ენენა და მერი მოიკითხა. მერი მეთამბაქოეა, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი. ანგელინა და ენენა მასწავლებლები, მაყვალა კოლმეურნე, ნადეიდა და ვერა დიასახლისები.

მასწავლებლები სკოლას ამბებს მოჰყვნენ. კოლმეურნეობამ ორი შენობა მისცა სკოლას. აფეზში ორი დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლაა. ახლა ვინღაა უსწავლელი, წინათ წერა-კითხვის მცოდნე კაცი სანთლით იყო საძებარი. გიმნაზიელი ერთიც არ გაივლიდა ამ მხარეში. ახლა სირცხვილია საშუალო-

— ინჟინერი, უშანგი — ექიმი, ეს მასწავლებლებო, ეს სტუდენტებია, ეს მოსწავლეებია...

კოლმეურნეობის ახალი შენობის ახლოახლო და ხიდზე რომ ლამპიონება დადგეს, იმაზე წამოიწყო ლაპარაკი თავმჯდომარემ. ბოლოს გირორგის გაეხდო. ახლა მთელ სოფელში, შარაგზის გაყოლებით მინდა ლამპიონების ჩადგმა. და შენ რას იტყვიო.

— რა უნდა ვთქვა... — ნელა წამოიწყო გირორგიმ, — მაინც ვიტყვი, დიდებული საქმეა!

— ნაჩქარევი არ იყოს, ნაადრევი, სხვა რამე უფრო საჭირო არ დაგიჭერს! — შორს დაიჭირა საქმე თავმჯდომარემ.

— მთელი სოფელი ფეხზე დადგება, მაშინ ერთიორად ლამპიონ იქნება ჩვენი მხარე, ამ არჩევნებისათვის უნდა მოგვესწრო, ის იქნებოდა მადლი!

— მეც მაგის იმედი მაქვს. ახლა გზაც რომ მოვდიოდი, მაგაზე ვფიქრობდი, თქვენც დიდი ხანია არ მინახავხართ, ვიფიქრე, ერთი გირორგისაც ვნახავ, ლამპიონების ამბავსაც ვეტყვი-მეთქი, — და წასასვლელად წამოიწია.

— შენ არ მომიკვდე!.. წინ გადაუდგა გირორგი, ეცადა თავმჯდომარე, მაგრამ იძალა მასპინძელმა და სტუმარი დაბრუნა. ის იყო, გირორგი ქალებს გაეხმაურა. რა ღმერთი გიწყრებათ. დაგვხოცეთ შიმშილითო, რომ შალვა, უშანგი და ვახტანგი შემოვიდნენ ეზოში. ახლა უფრო გახალისდა სტუმარიკა და მასპინძელიც.

— ხვნა-თესვის, ათოვის დროა, ტრაქტორისტების დროა... თუ არ გვიღალატეს! — მამის გასაგონად ღიმილით თქვა ვახტანგმა.

— რაო... რაო!.. გული მოუვიდა გირორგის. — ზურაბასა და ბახოს ღალატი ვის უთქვამს, ბიჭო! იმ დღესაც ვნახე ბიჭები, ზოგზოგებივით, მოუფლელ-უპატრონოდ კი არა ჰყავთ ტრაქტორები. ემტეესები რომ გაუქმდა. ზოგი ეჭვობდა, კოლმეურნეობამ ტრაქტორებს როგორ უნდა მოუაროსო, მაგრამ აბა ნახეთ, ვერ უვლიან? თუ გული გულობს, ქადა ორი ხელით იქმენა...

სიტყვაძუნწი კაცია გირორგი. უთქმელი. მაგრამ ამ თავის მექანიკოსობასა და ტრაქტორისტებზე ლაპარაკს გულგრილად ვერ ვერ უვლის, გირორგისა და მალაქიას დაზრდილნია, რაც ახლა კარგი ბიჭები უსხედან ტრაქტორებს: ზურაბ ქიტიაშვილი, ბახო კაპანაძე, დავით ხუციშვილი.

რაც გირორგი პენსიაზე გავიდა, უფრო უწევს გული ბიჭებისაკენ, ზოგს ხელს წააშველებს, ზოგს სიტყვას.

ჯარბა იც სულმდეა მისი ოჯახი და მაინც ცოტაა, ამბობს. ხალხის ძალა შვილებიაო. მე თუ ექვსი შვილი მყავს, ჩემ შვილებს ათზე ნაკლები არ უნდა ჰყავდეთო. სულ სხვა ყოფილა შვილიშვილის სიყვარული, ტყუილად კი არ ამბობს ხალხი: შვილმა გული ვაიარა, შვილიშვილმა გულის გულია.

ჩაჯდა ბაბა შვილიშვილებში და მოჰყვება ამბავს ამ ქვეყნისას, იმ ქვეყნისას, არა აქვს მოსაყოლი თუ! როგორ დასახლდნენ, როგორ გათენდა თებერვალში გლეხიკაცისათვის. როგორ მოიყვანეს ძმებმა — გირორგი და მალაქია მერმანიშვილებმა პირველი ტრაქტორი ამ მხარეში.

ეს იყო 1924 წელს. სარდიონ ჯიშკარიანმა, გრიშა და კაპიტო მამაცაშვილებმა, ვანო მჭედლიძემ, მალაქია კაპანაძემ, კაპიტო მამაცაშვილმა. კიდევ ერთმორმა გლეხმა გადაწყვიტეს ტრაქტორის ყიდვა. ამ გაზზარაზით თბილისში ჩამოვიდნენ და პროფესორ ამირაჯიბთან მივიდნენ რჩევისათვის. დიდი გაკვირვებით „ფორძონის“ მარკის ტრაქტორი შეიძინეს, გურჯაანამდე მატარებლით მოიყვანეს.

ერთი გენახათ, რა ამბავი იყო, როცა ეს უცნეხკამეჩო გუთანი დაიძრა, მილეთის ხალხი დაედო, მაშინ ახალგაზრდა იყო გირორგი, მოდიოდა, მოაგუგუნებდა ტრაქტორს და გული სიხარულით ჰქონდა სავსე. ეამაყებოდა, პირველ ტრაქტორისტს, იყო კიდეც საამაყო. მიგუგუნებდა გირორგის „ფორძონი“ ვეკნინის და ბაკურციხის, ჭიაურის მინდვრებში. ეს იყო ახალი ხმა, ახალი ძალა, რომელმაც სულ მალე კულაკის სამანზე გადაიარა და გადათელა.

აი ამას მოჰყვება გირორგი, ამას ეტყვის შთამომავლობას — შვილიშვილებს ეთერს, ბესიკს, ნინოს, ზურაბს, რუსუდანს... მერე ისინი თავიანთ შვილებს, თავიანთ შვილიშვილებს გადასცემენ გირორგის ამბავს და ასე დარჩება უკვდავი მშრომელი კაცის სახელი.

სუფრა გაიშალა, დაილია ჭერის, ოჯახის სადღეგრძელო. დიდი სტუმრობა ეგონებოდა უცხო თვალს, მაგრამ მალე ჯერ ერთი მეზობელი შეემატა, მერე მეორე და მესამე, მალე ნადიმად იქცა პურობა და გაჩაღდა ქეიფი.

— ჩვენი მასპინძლის სასახლე... —წამოიწყო ვიღაცამ. იქვე მოძახილი გამოჩნდა, ბანებმა დაიბუბუნეს და სიმღერამ ზეცას უწია.

სტუმრისთვის მუდამ ღიაო... — ჰეედა სიმღერა.

მღეროდნენ. მერმანიშვილები, მღეროდნენ ცერცვაძეები და გორგაშვილები, ჩალაძეები და მჭედლიძეები, რაზმაძეები და მაჭარაშვილები, ყაველაშვილები, კობერიძეები, ფერაძეები...

თითქოს სოფელი მღეროდა, ხელგაშლილი, გულგაშლილი სოფელი, მთას და ბარს ესმოდა მათი ხმა, ბებერი, ჭაღარა კავკასიონი იძლეოდა ექოს, ძლიერ ექოს, რომელიც საუკუნეებს გაუძლებს...

რ. დვალიშვილი,

ლაგოდეხი. აფენი. მარტი.

ბარაქალა, მოუღლელო მარჯვენავ!

მაზაფხული ივრის ჭალებში

ოქროს ეტლით შემობრძანდა გაზაფხული ივრის ჭალებში...

საგარეჯოს, ნინოწმინდის, კაკაბეთისა და ყანდაურის ალად გაღვიძებულ ბაღ-ვენახებს, ფშაური ფარდაგივით აჭრელებულ სახნავ-სათესებს ლაღად დაჰქაჯაობს მარტის ცხრათვალა მზე.

„მზე შინა და მზე გარეთა,
მზევ, შინ შემოდიო“...

თითქოს ერთხმად მღერიან აქ ადამიანები და კვირტაბურცული ვაზები. ალისფრად გადაპენტილი ატმები, თეთრმანდილიანი ნუშები და მდინარის პირას გუშაგებივით ჩამწკრივებული ვერხვები...

მაგრამ წლევანდელმა გაზაფხულმა მხოლოდ მზის სითბო და ელვარება როდი მოუტანა გარეკახეთის ამ მდიდარსა და ბუნებით გალაღებულ კუთხეს!

აბა ჩაიარეთ სოფლებში, გადახედეთ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, შეედით ადგილობრივ მკვიდრთა ოჯახებში, და დარწმუნდებით, რომ როგორც მთელ ჩვენს თვალუწვდენ სამშობლოში, ისე აქაც მზესავით ანათებს ყოველ კუთხე-კუნჭულს ჩვენი დიდი პარტიის სიბრძნე.

ერთი კვირაც არ გასულა მას შემდეგ, რაც მოსკოვში მუშაობა დაამთავრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, და მის ჭეშმარიტად ისტორიულ გადაწყვეტილებებს ერთსულოვნად გაჰყვა მილიონობით საბჭოთა ადამიანი, მთელი ჩვენი ხალხი.

შეუძლებელია კანონიერი სიამაყის გრძნობით არ აგვევსოს გული, როცა ხედავ, თუ რა ნაუკრობელი შემოქმედებითი შრომის ცეცხლი გაუჩაღებიათ საგარეჯოელ მევენახეებს, მემინდვრეებს, მეცხოველეებსა და მებოსტნეებს გაზაფხულის ამ მცხუნვარე დღეებში.

— „გაზაფხული გლეხკაცის საჭიდაო სარბიელია“, — უთქვამს ჩვენს ხალხს და ვისაც სურს ამაში დარწმუნდეს, უთუოდ უნდა ნახოს საგარეჯოელთა გარჯა, მათი მოუღლელი მარჯვენის ძალა.

შარშან საგარეჯო რესპუბლიკის ერთ-ერთ მსხვილ საკოლმეურნეო სოფელს წარმოადგენდა. ახლა აქ კოლმეურნეობის ბაზაზე ახლად შექმნილი მერძევეობა-მებოსტნეობის საცდელ-საჩვენებელი გიგანტური მეურნეობაა.

სოფელი-საბჭოთა მეურნეობა! ასე უწოდებენ ახლა საგარეჯოს. მისი ბაღ-ვენახები, სახნავ-სათესი მიწები და საკარგულები ცივგომბორის მთის კალთებზე იწყება და მდინარე ივრის გალმა გარეჯის უდაბნოშდე გრძელდება.

მეურნეობის დირექტორი ვახტანგ ჯორძაძე ნამყენი ვაზის გამოსაყვანი სათბურისაკენ მიგვიძღვის და გვესაუბრება.

მეურნეობის ზვრები 281 ჰექტარზეა გადაჭიმული, მაგრამ განა ეს აკმაყოფილებს საგარეჯოელებს? რა თქმა უნდა, არა. წელს 50 ჰექტარზე გაშენებენ ახალ ვენახს, ხოლო შვიდწლედის ბოლოს მეურნეობას 400 ჰექტარი უნდა ჰქონდეს. სწორედ ამიტომ ამუამად ოცდაათზე მეტი გამოცდილი მენამყენე ზის სათბურის მახლობლად და ფილოქსერაგამძლე ვაზის საძირეზე საუკეთესო ქართული ჯიშის ვაზს — რქაწითელსა და მწვანეს ამყნობს.

— წელს ერთი მილიონი ვაზის ნამყენი უნდა დავამზადოთ, — ამბობს მეურნეობის უფროსი მევენახე აკონომი ანდრო ნიკოლაიშვილი, — ჩვენ არა მარტო მეურნეობას უზრუნველყოფთ მიღებული ნამყენით, დიდი რაოდენობითაც მივცემთ მას მეზობელ კოლმეურნეობებს.

აგრონომი ნიკოლაიშვილი სიყვარულით ლაპარაკობს მევენახეობის პერსპექტივებზე, მაგრამ გულისტკივილს გამოთქვამს იმის გამო, რომ ზემდგომი ორგანოები მეურნეობას უგეგმავენ მხოლოდ ორი ჯიშის—რქაწითლისა და მწვანის დამზნობას და საესებით ივიწყებენ საფერავს, საქვეყნოდ განთქმულ ქართული ვაზის ჯიშს.

— რატომ ხდება ეს? რათ აყენებენ გადაშენების გზაზე საქართველოს მევენახეობა-მეღვინეთა სიამაყეს — საფერავს?

კარგა ხანია ამ საკითხზე მსჯელობენ საქართველოს მევენახეები. თითქმის ყველგან მოისმენთ აზრს იმის შესახებ, რომ საჭიროა ბოლოს და ბოლოს აღვადგინოთ გადაშენების გზაზე დამდგარი საფერავი, უფრო მეტი რაოდენობით გავაშენოთ მისი ზვრები, საქმით კი, როგორც ჩანს, ნაკლებად ზრუნავენ.

საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარება და პროდუქტების წარმოების ზრდა ხომ წარმოუდგენელია, თუ მტკიცე საკვები ბაზა არ არის. ამიტომაც მეურნეობისათვის მარცვლეული კულტურების თესვა და მოყვანა დიდ საქმეს წარმოადგენს. ჩვენ ვნახეთ მემინდვრეობის ბრიგადები ოორს გალმა, ხელისგულივით დაცემულ მინდვრებზე, სადაც ამუამად მზესუმზირას თესავენ, სადაც ახლობით ჰექტარ ნიადაგს ამზადებენ სიმინდისა და სხვა საგაზაფხულო კულტურების დასათესად.

აგერ მექანიზატორი ვახტანგ მეზვრიშვილი ტრაქტორის საჭეს მისჯდომია, მწკრივად სათესით მზესუმზირას თესავს. გეგმით დღეში 10 ჰექტარი უნდა დათესოს, ყოველდღიურად კი მისი შრომის შედეგია 15-18 ჰექტარი.





მას არც მექანიზატორი ომარ ივანიაშვილი ჩამორჩება იქვე ახლოს, ბექობს გადაღმა რომ აგუგუნებს ტრაქტორს.

მალე მიილევა მარტი, დადგება აპრილის დღეები, და ივრის ჭალებში სიმინდის თესვას გააჩაღებენ. ხუმრობაა?! შვიდწლედის მეოთხე წელს მეურნეობამ 1.600 ჰექტარზე უნდა დათესოს „მინდვრის დედოფალი“. საშემოდგომო ხორბალი და ქერი კი დათესილი აქვთ 2.060 ჰექტარზე.

მეურნეობის კოლექტივმა ერთსულოვნად მოიწონა პარტიის მოწოდება ნათესბალახიანი სისტემის უარყოფისა და სათოხნი კულტურების დანერგვის შესახებ. წელს მეურნეობის მინდვრებზე ნახავთ უძვირფასეს პარკოსან კულტურას ბარდას, რომელიც ცხოველთა საუკეთესო საკვებს წარმოადგენს, ამავე დროს ნიადაგის სტრუქტურასაც აუმჯობესებს და აზოტოვანი შენაერთებით ამდიდრებს. 300 ჰექტარის ნაცვლად ბარდა დათესილია 850 ჰექტარზე ეს მეურნეობის წარმატებად უნდა ჩაითვალოს.

მზით განათებულ მინდვრებზე შორიდანვე მოჩანს მეძროხეობის, მეცხვარეობისა და მეფრინველეობის ფერმები. აქ შევხვდით ბევრ მოწინავე მეცხოველეს, რომლებსაც გულმოდგინე, თავდადებული შრომა დიდებისა და ღირსების საქმედ გაუხდიათ. აი ისინიც — სახელოვანი მწველავები გიორგი პაპიაშვილი, ანზორ ჭიაურელი, შაქრო ლაფაჩიშვილი, მეფრინველეები ნელი ნინოშვილი, მანია ფირუულაშვილი, ლენა გეჯაძე და სხვები.

ნელი ნინოშვილმა და მანია ფირუულაშვილმა საშუალო სასწავლებელი რომ დაამთავრეს, მეფრინველეობის ფერმაში დაიწყეს მუშაობა. შარშან მათ 40 ათასი წიწილა გამოზარდეს, მომდინარე წელს გოგონებმა იკისრეს 60 ათასი ფრთა გამოზარდონ.

— ამ ორი დღის წინ ნელი ნინოშვილი პარტიაში მივიღეთ, — გვითხრა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანმა ვალერიან გუსარიშვილმა, როცა მეფრინველეებს დავემშვიდობეთ.

ასეთ ღირსეულ ახალგაზრდებს მარტო ამ ფერმაში როდი შეხვდებით, ისინი ყველგან არიან — მემინდვრეებთან, მევენახეებთან, მეცხვარეებთან, მეძროხეებთან...



**გაზაფხულის მცხუნვარე მზე აფრქვევს სხივებს საგარ

სსრ კავშირის მთავრობის მემორანდუმი

თვრამეტი სახელმწიფოს კომიტეტში განიარაღების შესახებ მოლაპარაკების გამო

სსრკ-კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის მონაწილეთა შორის ქენევაში გაავრცელა სსრ კავშირის მთავრობის მემორანდუმი ამ კომიტეტში მოლაპარაკების გამო.

როგორც აღნიშნულია მემორანდუმში, საბჭოთა მთავრობა იმას ემყარება, რომ 18 სახელმწიფოს კომიტეტში მოლაპარაკება, თვისებრივად ახალ ეტაპს წარმოადგენს განიარაღების პრობლემის განხილვაში, ეტაპს, რომელსაც განიარაღების პრობლემის პრაქტიკული გადაჭრა უნდა მოჰყვეს.

საბჭოთა მთავრობა დადებითად უპასუხებს კითხვაზე: შეიძლება თუ არა განიარაღების პრობლემის გადაჭრა. დიახ, განიარაღების პრობლემის გადაჭრა შეიძლება, თუ რა თქმა უნდა, იმისთან ერთად, რომ სხვის ტერიტორიებზე მოისპოს ყველა სამხედრო ბაზა და იქიდან გაყვანილ იქნეს უცხოელთა ჯარები.

სსრ კავშირის მთავრობა თავის მემორანდუმში აღნიშნავს, რომ ამ ღონისძიებათა განხორციელება ფაქტიურად შეუძლებელს გახდის სახელმწიფოების ატომურ თავდასხმას ერთი მეორეზე, თუნდაც ატომური იარაღი კიდევ იყოს სახელმწიფოების განკარგულებაში.

საბჭოთა მთავრობა იძლევა იმ ღონისძიებათა დახასიათებას, რომლებიც სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ საყოველთაო და სრული განიარაღების სამ ეტაპზე. ამ ღონისძიებათა განხორციელება იმას გამოიწვევს, რომ სახელმწიფოებს არ დარჩებათ ომის წარმოების საშუალებანი, ომის საფრთხე საბოლოოდ აღმოიფხვრება.

ამასთან სსრ კავშირის მთავრობა აღნიშნავს, რომ საყოველთაო და სრული განიარაღების განხორციელება გამოიწვევს დიდი მატერიალური რესურსებისა და სახსრების განთავისუფლებას. ეს რესურსები შეიძლება მოხმარდეს სახელმწიფოთა მშვიდობიანი ეკონომიკის განვითარებას, ხალხთა კეთილდღეობისა და კულტურის დაჩქარებულ ამაღლებას. საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ განთავისუფლებული სახსრების ნაწილი უნდა მოხმარდეს სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის ეკონომიური და ტექნიკური დახმარების გაწევას.

საბჭოთა მთავრობა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მტკიცე და საიმედო საერთაშორისო კონტროლის დაწესება საყოველთაო და სრული განიარაღების წარმატებით განხორციელების აუცილებელი საწინდარი და გარდაუვალი პირობაა. სსრ კავშირის მთავრობის პოზიცია კონტროლის საკითხში უწინარეს ყოვლისა ნაკარნახევია მისწრაფებით — უზრუნველყოფილი იყოს ხელშეკრულების მონაწილეთა რწმენა, რომ საყოველთაო და სრულ განიარაღებას ახორციელებს ყველა პატიოსნად და კეთილსინდისიერად, რომ არც ერთი სახელმწიფო არ არიდებს თავს განიარაღების ღონისძიებათა მხრივ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას.

ხელშეკრულების პროექტში გათვალისწინებულია ღონისძიებანი საყოველთაო და სრული განიარაღების თითოეულ ეტაპზე მტკიცე საერთაშორისო კონტროლის განსახორციელებლად. კონტროლის განსახორციელებლად შეიქმნება განიარაღების საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც თავისი ფუნქციების შესრულებას შეუდგება განიარაღების ღონისძიებათა განხორციელების დაწყებასთან ერთად. საბჭოთა მთავრობა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ამ ორგანიზაციაში საჭირო არ არის შვეიცარიისთ ერთხმივობის ან ვეტოს პრინციპი და შეიძლება დაეთანხმდეთ, რომ გადაწყვეტილებათა მიღება ხდებოდეს ხმის შესაბამისი უმეტესობით. საბჭოთა მთავრობამ ამასთან გაითვალისწინა განიარაღების საერთაშორისო ორგანიზაციის ამოცანების ხასიათი — შეამოწმოს, თუ როგორ ასრულებენ სახელმწიფოები ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებს, აღნიშნოს ამა თუ იმ ეტაპის ღონისძიებათა შესრულება დამთავრება და მოხსენებანი ამ საკითხებზე წარუდგინოს სახელმწიფოებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს და გენერალურ ასამბლეას.

საყოველთაო და სრული განიარაღების ყველა ღონისძიების დამთავრების შემდეგ განიარაღების საერთაშორისო ორგანიზაცია გახაგრძობს თვალყურის დევნებას, თუ როგორ ასრულებენ სახელმწიფოები ნაკისრ ვალდებულებებს და შეძლებს სიინსპექციო ჯგუფები გაგზავნოს ყოველ პუნქტში სახელმწიფოთა ტერიტორიებზე.

საბჭოთა მთავრობას იმედი აქვს, რომ მისი წინადადებანი მტკიცე საერთაშორისო კონტროლის შესახებ ძირითადად მისაღები იქნება ყველასათვის, ვიაც გულწრფელად სურს განიარაღების პრობლემის გადაჭრა. სსრ კავშირის მთავრობა აგრეთვე აღნიშნავს, რომ იგი მთელი ყურადღებით შეისწავლის სხვა წინადადებებს კონტროლის ღონისძიებებისა და ფორმების შესახებ, თუ ასეთი წინადადებანი წამოყენებულ იქნა მოლაპარაკების მსვლელობაში. საბჭოთა მთავრობა მზად არის მიიღოს დასავლეთის სახელმწიფოთა ყოველი წინადადება განიარაღებისადმი კონტროლის შესახებ, თუ ეს სახელმწიფოები მიიღებენ საბჭოთა წინადადებებს საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ.

საბჭოთა მთავრობა იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილი იყოს საერთაშორისო მშვიდობა და უშიშროება საყოველთაო და სრული განიარაღების განხორციელების პირობებში, ითვალისწინებს დაიდოს შესაბამისი შეთანხმებანი უშიშროების საბჭოსთან და მის განკარგულებაში გამოიყოს სპეციალური ნაწილები, რომლებიც შევა სახელმწიფოთა ეროვნული შეიარაღებული ძალების შადგენლობაში და განლაგდება მათი ტერიტორიების ფარგლებში. განიარაღების მესამე ეტაპზე შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების ლიკვიდაციის დაძთავრების შემდეგ უშიშროების საბჭოს საერთაშორისო ძალები შეიქმნება საჭიროების შემთხვევაში პოლიციის (მილიციის) კონტინგენტებისაგან, რომლებიც სახელმწიფოებს რჩებათ. საერთაშორისო შეიარაღებული ძალების სარდლობა უნდა შედგეს სახელმწიფოთა სამი ჯგუფის — სოციალისტური სახელმწიფოების, სამხედრო ბლოკების მონაწილე დასავლეთის ქვეყნების და ნეიტრალური ქვეყნების თანასწორი წარმომადგენლობის საფუძველზე. ამასთან გადაწყვეტილებათა მიღება უნდა ხდებოდეს მათ შორის შეთანხმებით.

საბჭოთა მთავრობა ითვალისწინებს დასავლეთის სახელმწიფოთა სურვილს, რომ განხორციელდეს საერთაშორისო შვეიდობისა და უშიშრების უზარუნველყოფის დამატებითი ღონისძიებანი საყოველთაო და სრული განიარაღების განხორციელების მსვლელობაში და შემოაქვს წინადადება, რომ პირველი ეტაპის დასაწყისიდანვე აიკრძალოს (სანამ საბოლოოდ მოისპობოდეს ატომური იარაღის მატარები ყველა სამუალება) ისეთ სპეციალურ მოწყობილობათა გაყვანა ორბიტაზე ან კოსმოსურ სივრცეში მოთავსება, რომლებსაც შეუძლიათ წაიღონ მასობრივი მოსპობის იარაღი, აგრეთვე აიკრძალოს ტერიტორიული წყლების ფარგლებს გარეთ სამხედრო ხომალდების გასვლა და სამხედრო თვითმფრინავების გაფრენა ეროვნული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, რომლებიც შეიძლება გამოიყენონ ატომური იარაღის მატარებლად.

საბჭოთა კავშირს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ განიარაღების პირველსავე ეტაპზე, სახელმწიფოებმა, რომლებსაც ატომური იარაღი აქვთ, იკისრონ ვალდებულება არ გადასცენ ატომური იარაღისადმი კონტროლი და არ შეატყობინონ ამ იარაღის წარმოებისათვის საჭირო ცნობები სახელმწიფოებს, რომლებსაც ასეთი იარაღი არ მოეპოვებათ, ხოლო ამ სახელმწიფოებმა თავიანთ მხრივ არ აწარმოონ ან არ შეიძინონ ატომური იარაღი და არ დაუშვან ამ იარაღის განლაგება თავიანთ ტერიტორიაზე.

საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ უკვე ამჟამად, სანამ გადაწყდებოდეს საყოველთაო და სრული განიარაღების პრობლემა, შეიძლება შეეთანხმდეთ ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ. სსრ კავშირის მთავრობა ითვალისწინებს, რომ დასავლეთის სახელმწიფოებს ეროვნული საშუალებანი არ მიაჩნიათ საკმარისად ატომური იარაღის მოწესრიგება აფეთქების აღმოსაჩენად და შემოაქვს წინადადება — ასეთი აფეთქების მოწყობაზე მორატორიუმი გამოცხადდეს მანამდე, სანამ არ შეთანხმდება კონტროლის შესაბამისი სისტემა. საბჭოთა მთავრობა კვლავაც მზად არის დაუყოვნებლივი შეთანხმებისათვის ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის საკითხზე.

საბჭოთა მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია განიხილოს აგრეთვე, რამდენად შესაძლებელია გარკვეული ღონისძიებანი განხორციელდეს საერთაშორისო დაძაბულობის შესანელებლად, სახელმწიფოთა შორის ნდობის განსამტკიცებლად და საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის ხელის შესაწყობად. მაგრამ ამ ღონისძიებებზე მოლაპარაკებამ კომიტეტის მონაწილეთა ყურადღება არ უნდა ჩამოაშოროს ამ ამოცანის შესრულებას — საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ ხელშეკრულების მომზადებასა და შეთანხმებას. (საკდესი).

◊ **გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. ატომური შეიარაღების მოწინააღმდეგეებმა დორტმუნდში გამართეს მიტინგი ბონის მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.**

სურათზე: მიტინგის მონაწილენი რატუშის შენობასთან.

ფოტო **ცენტრალბილდ-საკდესისა**

მთელი მსოფლიო შესცქერის მოსკოვს

უცხოეთის გამოხმაურება ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვაზე

ბუდაპეშტი, 17 მარტი. (საკდესი). ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვამ კალინინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა კრებაზე უნგრეთის შრომელების დიდი ინტერესი გამოიწვია. ბევრნი ამ სიტყვას გაეცნენ ჯერ კიდევ გუშინ, უნგრეთის რადიოსა და ტელევიზიაში მიტინგის ტრანსლაციის დროს.

დღეს გაზეთები პირველ გვერდზე დიდი სათაურებით აქვეყნებენ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის დაწვრილებით შინაარსს. „ნეპსაბადშაგი“ მას ორ გვერდზე მეტს უთმობს. ხაზს უსვამს რა საბჭოთა კავშირის წარმატებებს და მის მშვიდობიან პოლიტიკას „ნეპსაკა“ სათაურში წერს: „მხოლოდ ბრმა ვერ ხედავს, რომ კომუნიზმი მტკიცედ დამკვიდრდა დედამიწაზე“. აქვე გაზეთს მოჰყავს ცალკეული გამონათქვამები სიტყვიდან: „საბჭოთა მეცნიერებმა შექმნეს ახალი საკონტინენტთაშორისო რაკეტა, რომელსაც ელობალური უწოდეს. საბჭოთა კავშირი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რათა მიაღწიოს შეთანხმებას განიარაღების შესახებ. საბჭოთა კავშირში გაუშვეს ახალი ხელოვნური თანამგზავრი“.

პარიზი, 16 მარტი. (საკდესი). ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა ამომრჩეველებთან შეხვედრაზე საფრანგეთის საზოგადოებრიობისა და პოლიტიკური წრეების ყურადღების ცენტრშია. გაზეთები, რადიო, ტელევიზია წინასწარ აუწყებდნენ თავიანთ მკითხველებსა და მსმენელებს საბჭოთა მთავრობის მეთაურის მომავალი სიტყვის შესახებ და ერთსულოვნად ანიჭებდნენ მას „განსაკუთრებით დიდ“ მნიშვნელობას.

როგორც კი ნ. ს. ხრუშჩოვი გამოჩნდა ყრილობათა სასახლის დარბაზში, ფრანს პრესის სააგენტომ ტიტრებით „ელვა“ შეწყვიტა ყველა სხვა ცნობა (ახლა კი საფრანგეთი განსაკუთრებული მოუთმენლობით ელის ცნობებს ეიენელე-ბენიდან, სადაც მიმდინარეობს საფრანგეთ-ალჟირის მოლაპარაკება), დაიწყო ცნობების გადაცემა მოსკოვიდან. „ხრუშჩოვს მჭუხარე, ხანგრძლივი ოვაციით მიესალმება ვეებერთელა დარბაზი“, „ხრუშჩოვს უსმენს ექვსი ათასი კაცი“, „მუშაობს საბჭოთა კავშირის ყველა რადიოსადგური და სატელევიზიო ცენტრი“,—ასეთია ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტთა პირველი ცნობები კრემლიდან.

ფრანს პრესის სააგენტომ გადასცა ამომრჩეველთა წინაშე ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლის შინაარსი და განსაკუთრებით გამოჰყო საბჭოთა მთავრობის მეთაურის განცხადება, რომ გარდუვალია კომუნიზმის გამარჯვება კაპიტალიზმზე.

ამ განცხადებამ, ხაზგასმით აღნიშნავს სააგენტო, მთელი დარბაზის ოვაცია გამოიწვია.

ნიუ-იორკი, 16 მარტი. (საკდესი). ამერიკის დელეგაციამ სააგენტოებმა შეწყვიტეს თავიანთი რეგულარული ინფორმაციის გადაცემა და აღნიშნეთ „ელვა“ გადასცეს თავიანთ კორესპონდენტთა ცნობები ქალაქ მოსკოვის კალინინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველებთან ნ. ს. ხრუშჩოვის შეხვედრის შესახებ. თავიანთ პირველ ცნობებში სააგენტოები გამოჰყოფენ ნ. ს. ხრუშჩოვის განცხადებას, რომ საბჭოთა კავშირში განხორციელდა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის მორიგი გაშვება კოსმოსური სივრცის შემდგომი კვლევის მიზნით.

ნ. ს. ხრუშჩოვმა, ხაზგასმით აღნიშნავს შემდეგ სააგენტო, განუცხადა ამომრჩეველებს, რომ არ დაიშურებს ძალღონეს, რათა გაამართლოს მათი ნდობა. ხრუშჩოვმა თქვა, აღნიშნავს სააგენტო, რომ მხოლოდ ბრმამ შეიძლება არ დაინახოს, რომ მომავალი კომუნიზმს „აუთვნის.

სააგენტოს მოჰყავს ნ.ს. ხრუშჩოვის სიტყვის ის ადგილი, სადაც იგი ლაპარაკობს საბჭოთა საარჩევნო სისტემის უპირატესობაზე ამერიკული სისტემის წინაშე.

ვაშინგტონი, 17 მარტი. (საკდესი). თეთრი სახლი და სახელმწიფო დეპარტამენტი ჯერჯერობით თავს იკავებენ მოსკოვში წინასაარჩევნო კრებაზე ნ. ს. ხრუშჩოვის მიერ წარმოთქმული სიტყვის ოფიციალური კომენტარებისაგან. თეთრი სახლის მდივანმა პრესის საკითხებში სელინჯერმა განაცხადა, რომ მანამ თეთრ სახლში არ შეისწავლიან ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვას ყველა ასპექტით, არავითარი კომენტარი არ იქნება.

დედამიწა უიარაღოდ!

ჟენევა, 16 მარტი. (საკდესის სპეციალური კორესპონდენტი ა. **კისლოვი** იუწყება: მესამეჯერ გაისმა დღეს ჟენევის ერების სასახლის საბჭოს დარბაზის დახურული მასივური კარის იქით თავმჯდომარის ჩაქუჩის დარტყმა. რაც იუწყება 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის მორიგი სხდომის დაწყების.

განიარაღების კომიტეტში

დღევანდელი სხდომა მომდინარეობდა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ვ. დავიდის თავმჯდომარეობით. გამოსასვლელთა სიაში არიან ბრაზილიის, იტალიისა და ჩეხოსლოვაკიის, ესე იგი იმ ქვეყნების წარმომადგენლები, რომლებიც შედიან თანამედროვე მსოფლიოს სახელმწიფოთა სამ ძირითად ჯგუფში.

დღეს პირველი გამოვიდა ბრაზილიის საგარეო საქმეთა მინისტრი დე სანტიაგო დანტასი, რომელმაც მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო განიარაღების პრობლემის ეკონომიურ ასპექტებს, აგრეთვე, როგორც მან თქვა, იმ ქვეყნების სპეციფიკური უშიშროების პრობლემას, რომლებსაც არა აქვთ ატომური იარაღი.

ბრაზილიის საგარეო საქმეთა მინისტრი შემდეგ შეეხო იმას, რომ საჭიროა აიკრძალოს ატომური იარაღის გამოცდა, და ხაზგასმით აღნიშნა, რომ შესაძლებელია ეფექტიანი კონტროლი გამოცდისადმი, რომელიც ეწყობა წყალქვეშ, ატმოსფეროსა და კოსმოსში „კონტროლის რაიმე სპეციალური სისტემის შეუქმნელად.

შემდეგ სიტყვა აიღო იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. სენნიმ, რომელმაც აგრეთვე მიუწოდა იმოქმედონ სწრაფად, რათა აღმოფხვრან ატომური ომის საფრთხე და არ შეწყვიტონ ღონისძიებნი მანამდე, სანამ არ იქნება მიღწეული საყოველთაო, სრული და კონტროლდაკვემდებარებული განიარაღება. მაგრამ, მისი აზრით, შეთანხმების საფუძველი უნდა იყოს წინადადებანი, რომლებიც გუშინდელ გამოსვლაში წამოაყენა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა დ. რასკმა და რომლებსაც არსებითად განზე მიჰყავს კომიტეტი მის წინაშე დასახული მთავარი ამოცანის გადაჭრისაგან. რაც შეეხება კონკრეტულად და დეტალურად შემუშავებულ ხელშეკრულების პროექტს საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ მტკიცე საერთაშორისო კონტროლის პირობებში, რომელიც კომიტეტის განსახილველად წარმოადგინა საბჭოთა დელეგაციამ, სენნი ჯერჯერობით დასჯერდა დაპირებას, რომ გულდასმით შეისწავლის მას.

დღევანდელ სხდომაზე უკანასკნელი გამოვიდა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. დავიდი.

18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტი, თქვა მან, მუშაობას იწყებს იმ დროს, როცა მთელ მსოფლიოს შეგნებული აქვს, რომ განიარაღების პრობლემის, თანამედროვეობის ამ ყველაზე მწვავე საკითხის გადაჭრას ნამდვილად ისტორიული მნიშვნელობა ექნებოდა კაცობრიობის შემდგომი ბედისათვის.

მიუხედავად ზოგიერთი ხელსაყრელი ფაქტორისა, განაგრძო ვ. დავიდმა, კომიტეტი იკრიბება ისეთ პირობებში, რომლებიც ყველა მის წევრს უაღრესად დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს. გამალებული ატომური შეიარაღების განგრძობა აძლიერებს კონფლიქტის საფრთხეს, რაც მსოფლიოს ყველა ხალხისათვის ექნებოდა შედეგები, რომლებიც შეუძლებელია წარმოვიდგინოთ.

პროექტი ხელშეკრულებისა საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ მტკიცე საერთაშორისო კონტროლით, რომელიც საბჭოთა დელეგაციამ წარმოადგინა, განაცხადა შემდეგ ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ახალი დადასტურებაა სსრ კავშირის მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვისა, რომ გადაიჭრას საყოველთაო და სრული განიარაღების საკითხი.

ამავე დროს ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი დელეგაცია მზად არის საქმიანად და ყურადღებით განიხილოს აგრეთვე სხვა პროექტებიც, რადგანაც ისინი უზრუნველყოფენ კომიტეტის ძირითადი ამოცანის შესრულებას, ე. ი. საიმედო საერთაშორისო კონტროლით საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ შეთანხმების მიღწევას.

მაგრამ, განაცხადა ვ. დავიდმა, სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოთ, რომ პროექტები, რომელთა შესახებ ჩვენს გუშინდელ სხდომაზე ილაპარაკა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა დ. რასკმა, არ იძლევიან რწმენას, რომ ეს ამოცანა შესრულდება, რადგანაც საქმე არსებითად კვლავ ეხება მხოლოდ წინადადებებს ცალკეულ ღონისძიებათა შესახებ, რომლის დროსაც კონტროლის მოცულობა ბევრად გადაამეტებდა განიარაღების შესახებ შესაძლებელ ღონისძიებათა მოცულობას, ან საქმე ეხება წინადადებებს, რომლებიც საერთოდ განიარაღებაზე წინ აყენებენ კონტროლს. დარწმუნებული ვართ, რომ ეს გზა არ მიგვიყვანს საყოველთაო და სრულ განიარაღებასთან.

ჩვენ, განაცხადა ვ. დავიდმა დასასრულ, გვსურს, რომ კომიტეტის მუშაობა მოასწავებდეს მტკიცე გარღვევას განიარაღების შესახებ. უმედეგო მოლაპარაკებში, რაც დღემდე არსებობს. ჩვენ ვიცით, რომ საყოველთაო და სრული განიარაღება გადამწყვეტი ნაბიჯი იქნება სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის გაჯანსაღებისათვის და საბოლოოდ აღმოფხვრის ომის საფრთხეს.

ამიტომ გულწრფელად ვეცდებით, რომ კომიტეტის მუშაობას მოჰყვეს წარმატებითი შედეგები. ესე იგი შევიმუშაოთ პროექტი ხელშეკრულებისა საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ.

კომიტეტის შემდეგი სხდომა გაიმართება 19 მარტს დილით.

სუბანდრიოს განცხადება

ნიუ-იორკი, 16 მარტი. (საკდესი). საგარეო საქმეთა მინისტრმა სუბანდრიამ დღეს განაცხადა, იუწყება ასოშიეიტედ პრესის სააგენტო, რომ ინდონეზიამ გადაწყვიტა საიდუმლო არაოფიციალური მოლაპარაკება დაიწყოს ჰოლანდიასთან იმ იმედით, რომ დავა დასავლეთ ირიანის შესახებ შეიძლება გადაიჭრას მშვიდობიანი გზით.

„არაოფიციალური მოლაპარაკება, რომელიც განზრახულია დაიწყოს უახლოეს მომავალში, დაგვანახვებს, გამოიყენებს თუ არა ჰოლანდიის მხარე ამ მოლაპარაკებას პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრის მისაღწევად. თუ უბრალოდ ტაქტიკური მანევრი იქნება“, — დასძინა სუბანდრიომ.

გოა, დამანი და დიუ შეუერთდნენ ინდოეთს

დელი, 15 მარტი. (საკდესი). როგორც ინდოეთის საინფორმაციო ბიურო იუწყება, ინდოეთის პარლამენტის ქვედა პალატამ ერთსულოვნად მოიწონა კანონპროექტი პორტუგალიის ყოფილი სამფლობელოების გოას, დამანისა და დიუს ინდოეთის რესპუბლიკასთან ოფიციალური შეერთების შესახებ.

პრემიერ-მინისტრმა ნერუმ განაცხადა, რომ პორტუგალიის ამ ყოფილი ანკლავების მართვა უშუალოდ დელიდან იწარმოებს.

მთავრობა თვალყურს ადევნებს, განაცხადა ნერუმ, რომ გოამ შეინარჩუნოს თავისი ეროვნული თავისებურება.

ტელეგრამა გვატყობინებს

□ **კუბის** პრემიერ-მინისტრ ფიდელ კასტრო რუსისათვის „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის გადასაცემად ჰავანაში ჩავიდნენ საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტის თავმჯდომარე აკადემიკოსი დ. ვ. სკობელცინი და მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს და საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის წევრი ბორის პოლევოი.

□ **ინგლისის** ქალთა დეპუტაცია ორგანიზაციიდან „ატომური განიარაღებისათვის მოძრაობა“ 15 მარტს შეხვდა პრემიერ-მინისტრ მაკმილანს. დეპუტაციამ მას მოსთხოვა ყოველი ღონე იხმაროს, რათა თავიდან აიცილოს ამერიკის ატომური იარაღის გამოცდა შობის კუნძულზე.

□ **საუდის** არაბეთის მეფე საუდმა გამოაქვეყნა ახალი კაბინეტის შემადგენლობა, რომელშიც თვითონ მას უკავია პრემიერ-მინისტრის პოსტი, მის ძმას ემირ ფეისალს — პრემიერ-მინისტრის მოადგილისა და საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი. სამეფო გვარეულობის ორ სხვა წევრს შორის საუდის ძმისწულ ემირ ფეისალ ბენ ტურკისა და მის ვაჟიშვილ ემირ მუჰამედ იბნ საუდს შორის შესაბამისად განაწილდა შინაგან საქმეთა მინისტრისა და თავდაცვის და ავიაციის მინისტრის პორტფელები.

□ **იტალიის** სენატმა — დეპუტატთა პალატის შემდეგ — ნდობა გამოუცხადა ფანფანის მთავრობას. ნდობის გამოცხადებას ხმა მისცა 122 სენატორმა (ქრისტიან დემოკრატებმა და სოციალ-დემოკრატებმა), წინააღმდეგ — 68 სენატორმა, მათ შორის კომუნისტმა სენატორებმაც. სოციალისტებმა თავი შეიკავეს.

სიტყვით მშვიდობა, საქმით ომი

ნიუ-იორკი, 16 მარტი. საკდესის კორესპონდენტი **გ. ვასილიევი** იუწყება:

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გავრცელდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილის ჯორჯ ბოლის პასუხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოვალეობის აღმასრულებლის უ. თანის წერილზე, რომელიც შეიცავდა წინადადებას, რომ სახელმწიფოებმა, რომელთაც არა აქვთ ატომური იარაღი, თავი შეიკავონ ასეთი იარაღის წარმოებისაგან, შეძენისა და თავიანთ ტერიტორიებზე გახლაგებისათვის. „ჯორჯ ბოლი პირდაპირ აცხადებს, რომ შეერთებული შტატები უარს ამბობენ იკისრონ ვალდებულება, რომ თავს შეიკავებენ თავიანთი ატომური იარაღის განლაგებასა და შენახვაზე იმ ქვეყნებში, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირეები არიან სამხედრო ბლოკებით, რომ „თავდაცვის მიზნით“ ისინი კვლავ განლაგებენ თავიანთ ატომურ იარაღს ამ ქვეყნების ტერიტორიაზე.

ამრიგად, ნაწილობრივი ღონისძიებანიც კი, რომელთა მიზანია ატომური ომის საფრთხის თავიდან აცილება და გამალებული შეიარაღების შეწყვეტა, არ მოეწონათ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებს.

პასუხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოვალეობის აღმსრულებლის მეორე წერილზე, რომელიც შეიცავდა მოთხოვნას მიეწყოთ კონფერენცია ატომური იარაღის გამოყენების აკრძალვის შესახებ, ჯერ არ არის მიღებული. მაგრამ, როგორც გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი თომას ჰამილტონი წერს, ამ საკითხშიც ამერიკის შეერთებული შტატები უარყოფით პოზიციას დიკავებენ. კორესპონდენტი ამასთან იმოწმებს „ინფორმირებულ ამერიკულ წყაროებს“, რომლებსაც დამო კიდებლობა აქვთ პასუხის შედგენასთან.

მხარს უჭერს რა გამალებულ ატომურ შეიარაღებას, გაზეთი „ნიუ-იორკ მირორი“ 18 სახელმწიფოს კომიტეტის მუშაობას უწოდებს „საერთაშორისო ცირკს“ და ურჩევს დასავლეთს რაც შეიძლება მალე მოეღოს ბოლო ამ „საშიშ ავანტიურას“. გაზეთი „ჩიკაგო დეილი ნიუსი“ მოუწოდებს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას განაგრძოს ატომური აფეთქებანი მანამდე, სანამ არ შეიქმნება ნეიტრონის ბომბი.

მაგრამ შეერთებულ შტატებში სულ უფრო გარკვევით გაისმის განგაშის, შეშფოთების, პროტესტის ხმა. ამერიკის ქალაქების მოედნებზე და ქუჩებში გამართულ უბრალო ადამიანთა დემონსტრაციებში, სტატიებსა და წერილებში, რომლებიც ფრდადრო იბეჭდება ადგილობრივი გაზეთების ფურცლებზე, სულ უფრო ხმირად გამბებენ ამერიკის მხედრიონის დანაშაულებრივ მოქმედებას, რომელსაც მსოფლიო ატომური კატასტროფისაკენ მიჰყავს. სარედაქციო სტატიაში დამახასიათებელი სათაუოით „მინეტერ დალესის ეკო“ გაზეთი „ნიუ-იორკ პოსტი“ მკვეთრად გმობს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას იმისათვის, რომ იგი ილაშქრებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებათა წინაალმდეგ — შეიქმნას „უატომო სახელმწიფოთა კლუბი“, გადაიცეს აფრიკა უატომო ზონად და მოეწყოს საერთაშორისო კონფერენცია ატომური იარაღის გამოყენების აკრძალვის შესახებ.

ბრაზილიის საგარეო საქმეთა მინისტრი შემდეგ შეეხო იმას, რომ საჭიროა აიკრძალოს ატომური იარაღის გამოცდა, და ხაზგასმით აღნიშნა, რომ შესაძლებელია ეფექტიანი კონტროლი გამოცდისადმი, რომელიც ეწყობა წყალქვეშ, ატმოსფეროსა და კოსმოსში „კონტროლის რაიმე სპეციალური სისტემის შეუქმნელად.

შემდეგ სიტყვა აიღო იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. სენნიმ, რომელმაც აგრეთვე მიუწოდა იმოქმედონ სწრაფად, რათა აღმოფხვრან ატომური ომის საფრთხე და არ შეწყვიტონ ღონისძიებნი მანამდე, სანამ არ იქნება მიღწეული საყოველთაო, სრული და კონტროლდაკვემდებარებული განიარაღება. მაგრამ, მისი აზრით, შეთანხმების საფუძველი უნდა იყოს წინადადებანი, რომლებიც გუშინდელ გამოსვლაში წამოაყენა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ჩარევის შედეგად სამხრეთ ვიეტნამში მდგომარეობა გამწვავდა.

დეპეშაში აღნიშნულია რომ ამ ბოლო დროს ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულ ჩარევას სამხრეთ ვიეტნამში სულ უფრო ფართო და სერიოზული მასშტაბი ეძლევა.

15 თებერვლიდან სამხრეთ ვიეტნამის ნაპირების გაყოლების განუწყვეტლივ პატრულობენ ამერიკის მე-7 ფლოტის ნაღმოსნები და სხვა ხომალდები. 3 მარტს ამერიკის ავიამზიდმა საიგონში ჩაიტანა 30 ავიაგამანადგურებელი და 5 სამხედრო ვერტმფრინავი. 13 მარტს საიგონში ჩაიტანეს კიდევ 20 სამხედრო ვერტმფრინავი. გარდა ამისა, სამხრეთ ვიეტნამში გეშებს რეგულარულად ჩაქვთ იარაღი და სხვა სამხედრო ტვირთი.

სამხრეთ ვიეტნამში მყოფი ამერიკის ჯარები დღითი დღე სულ უფრო აქტიურ მონაწილეობას იღებენ სამხედრო ოპერაციებში, რომლებიც ვიეტნამის ამ ნაწილში წარმოებს. ისინი უშუალოდ მონაწილეობენ ბრძოლებში პატიოტთა წინააღმდეგ, საჰაერო თავდასხმებსა და ქიმიური ნივთიერებებთ მცენარეულობისა და ნათესების მოსპობაში სამხრეთ ვიეტნამის ბევრ რაიონში.

სამხრეთ ვიეტნამში მოვლენების ასეთი განვითარების წინაშე, ნათქვამია დასასრულ დეპეშაში, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა სთხოვს თავმჯდომარეებს დაგმონ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეიარაღებული აგრესია სამხრეთ ვიეტნამში და მოსთხოვონ მას დაითხოვოს ამერიკის სამხედრო სარდლობა საიგონში და დაუყოვნებლივ გაიყვანოს სამხრეთ ვიეტნამიდან ამერიკის ჯარები და სამხედრო პერსონალი. აგრეთვე გაზიდოს იარაღი და სამხედრო საკუთრული.

ახალი პროვოკაცია

ტუნისი, 15 მარტი. (საკდესი). გრძელდება საფრანგეთის ჯარების პროვოკაციები ტუნის-ალჟირის საზღვარზე. როგორც ტუნისის რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის სახელმწიფო სამდივნოს კომუნიკე იუწყება, 13 და 14 მარტს საფრანგეთის არტილერიამ სროლა აუტეხა რუატის (აინ ჯაჰამ), ალ-ჰამამის (გარდიმაუ), მარფა ჰედის, სიდი-აჰმედის საგუშაგოებს. სრაის და საკიეტ-სიდი-იუსეფის პუნქტების რაიონში საფრანგეთის ბომბდამშენები „ვ-26“ შეიჭრნენ ტუნისის საჰაერო სივრცეში. ორმა სხვ

ამბები, ცნობები, ფაქტები

კეთილი გულით მიძღვნილი

დუშეთი. (საკ. კორ.). ყოველ წელიწადს შორეულ კაპიტალისტურ ატარებენ ზამთარს რაიონის კოლმეურნეობათა მაღალი მწყემსები.

რაიონში ტრაღიციად იქცა ნოტატოში მყოფი მწყემსებისათვის საჩუქრების გაგზავნა. ამას წინათ მეჩადიჯგრის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა მეცხვარეებს გაუგზავნეს მხატვრული და პროპაგანდისტული ლიტერატურა, მისწერეს გულთბილი წერილი, რომელშიც წარმატებას უსურვებენ მწყემსებს შრომაში და პირობას აძლევენ, რომ კარგად ისწავლიან.

საჩუქრად გათუმელ გავშვებს

ბათუმის ხალხური შემოქმედების სალოლიო სახლის თეატრთან გაიხსნა ბავშვთა საბალეტო სტუდია (ხელმძღვანელი პედაგოგი მ. ტრიგუბი).

სტუდიაში უკვე სამოცზე მეტი მოსწავლეა გაერთიანებული, რომლებიც ეუფლებიან კლასიკურ ცეკვებს.

ნ. გავლოვა.

სტუმრები ჩეხოსლოვაკიიდან

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქის ქუჩებში ამ ორი-ოდე თვის წინათ გამოჩნდა „შოდის“ მარკის ტროლეიბუსები. საკრებულებუსო პარკს „ტრ-9“ ტიპის ჩეხოსლოვაკიური 70-ადგილიანი კომფორტული ვაგონები შემოსვა.

როგორ მუშაობენ ტროლეიბუსები? რა ბრეტენზიებს აყენებენ ან რა დამარება ესაჭიროებათ მეგობრებს? ამ საკითხებით დაინტერესდა ჩეხოსლოვაკიის ქ. ოსტრავის ვ. ი. ლენინის სახელობის ტროლეიბუსების ქარხნის კოლექტივი, რომელმაც თავისი დელეგაცია გამოგზავნა ქუთაისში.

ჩეხოსლოვაკიელი სტუმრები ქარხნის მთავარი ინჟინერი გ. რადა, ელექტრიკოსი ი. კრაიჩეკი და მძღოლი-მექანიკოსი ვ. ფრიდრიხი ერთ კვირას იმყოფებოდნენ ქუთაისში. მეგობრებმა საჭირო ინსტრუქტაჟი გაუწიეს მუშებსა და მძღოლებს რემონტის წარმოების, ვაგონების რეგულირებისა და ხაზებზე მათი სწორი ექსპლოატაციის საქმეში. ამასთან პირადად მიიღეს მონაწილეობა ტროლეიბუსების რემონტში.

მეგობგროგის ლაინერი

სოხუმი, 14. მარტი. (საქდესი). გერმანიიდან, ევროპის ჩრდილოეთ, სოხუმის ნავსადგურში შეფოთიდა საოკეანო ლაინერი „ფოლკერფონდლაფტი“. ეს კომფორტული გემი გერმანიის პროფკავშირებს ეკუთვნის. ამ ვენით მიმდინარე წელს პირველად ჩამოვიდა ქალაქ-კურორტში 527 ტურისტი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკიდან. მათ შორის არიან მუშები, მოსამსახურეები, სტუდენტები, სპორტსმენები. გერმანელი მეგობრები ორ დღეს დარჩებიან მზიურ სოხუმში.

* * *

სურათზე: ტურისტები **გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან** სოხუმში.

ფოტო ი. ჯობონელიძისა. (საქდესის ფოტოკორონტკა).

„ტერეზას დაბადების დღე“

17 მარტს რუსთაველის სახელობის თეატრმა მაყურებელს უჩვენა პრემიერა — გ. მდივნის პიესა „ტერეზას დაბადების დღე“, მიძღვნილი რევოლუციური კუბისადმი.

გ. მდივანმა თავისი პიესა შექმნა რევოლუციურ კუბაში ერთი თვის ყოფნის შემდეგ. სპექტაკლი დადგა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დ. ალექსიძემ, მხატვარია სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ფ. ლაფიაშვილი, კომპოზიტორი — რესპუბლიკის სახალხო არტისტი სახელმწიფო პრემიის ლაურეატი დ. თორაძე, ქორეოგრაფი — დ. მაჭავარიანი.

მთავარი როლები შეასრულეს: რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ს. ყანჩელმა, რ. ჩხაიძემ, ლ. ტყავაძემ, გ. ჭიკინაძემ, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ბ. ზაქარიაძემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ა. ხორავამ, კ. კავსაძემ, ი. ჯინჯიხაძემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ა. ხორავამ, კ. კავსაძემ, ი. ჯინჯიხაძემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა მ. ჩიხლაძემ, ს. ლალიძემ, ნ. ხეთაგურმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა თ. თარხნიშვილმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ე. აფხაიძემ, დამსახურებულმა არტისტმა ბ. კობახიძემ.

პრემიერას დაესწრნენ ბ. დ. ჯაფარიძეები, ბ. ს. ძოწენიძე, ი. ბ. რთველიაშვილი, ბ. ი. ჩოგოვაძე.

სპექტაკლის დამთავრების შემდეგ სცენაზე ავიდნენ კუბელი ახალგაზრდები, რომლებიც თბილისში სწავლობენ. მათ იმღერეს რევოლუციური კუბის ჰიმნი.

სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ა. ხორავამ წაიკითხა დეპეშა რევოლუციური კუბის ბელადის ფიდელ კასტროსადმი. სპექტაკლს დიდი წარმატება ჰქონდა. (საქდესი).

ნარიყალზე

მდინარე სტორი, რომლის სათავე კავკასიონშია, კლდეთა შორის მოჰქუხს, ხოლო სოფელ ფშაველს რომ მიუახლოვდება, „თვინერდება“.

სტორმა დიდი ადგილები დაისაკუთრა და ქვა-ქვიშით აავსო, ჰექტარი მიწა ხვნა-თესვისათვის უვარგისი გახადა. თელავის სატყეო მეურნეობის მუშაკებმა კარგი ინიციატივა გამოიჩინეს, ნარიყალზე ტყეებს ამენებენ. მდინარის მარცხენა მხარეს რვა ჰექტარზე თერი აღცია გააშენეს, ოთხ ჰექტარზე კი — კანადური ვერხვი. შემოდგომაზე ერთ ამდენს სტორის მარჯვენა მხარეს გააშენებენ. (**სკ. კორ.**).

თბილისო, ჩემო თბილისო, ბევრჯერ გვითქვამს შენი ქება, მაგრამ სიტყვა მაინც არ გვყოფნიდა, რომ ისე შეგვემკე და დაგვეხატე, როგორც ახლა ეს მშვენიერი გაზაფხული გხატავს და გამკობს.

პირველად ლურჯთვალა იებით, ახლა კი ხეთა ყვავილობით შემოაღო კარი წელიწადის ამ ულამაზესმა დრომ. მოვიდა და მოქარგა ეზოები და მთის კალთები, ბაღები და ხეივნები, ბუნების ფერისცვალობით მოიტანა მეტი სიცოცხლე და სიხალისე, ღიმილი და მოძრაობა, თუმცა ეს არასოდეს არ მკლებია ჩვენს ისედაც ლამაზ, ახალი ცხოვრებით აყვავებულ დედაქალაქს.

დღეს უმაღლესი საბჭოს არჩევნებია. თავიანთი უბნებისაკენ გაეშურებიან ამომრჩევლები, რომ პირნათლად მოიხადონ მოქალაქის ვალი, აირჩიონ ისინი, ვინც ქვეყანას ერთგულად ემსახურება, ვინც მტკიცედ იბრძოლებს ხალხთა მშვიდობის, ჩვენი გაზაფხულის დასაცავად.

ფოტო **გ. ვახტანგაძისა.**

ლატარია თბილისში

საქართველოს სსრ 1962 წლის პირველი გამოშვების ფულისა და ნივთების ლატარიის მოგებათა ტირაჟი გაიმართება 20-21 მარტს ქ. თბილისში ბორკის სახელობის კლუბში. სატირაჟო კომისიის თავმჯდომარეა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ბ. ლომიძე.

1962 წლის ლატარიის პირობები ძალიან მიმზიდველია. ტირაჟში გათამაშდება 4 ავტომობილი „ვოლგა“, 16 ავტომობილი „მოსკვიჩი“, 2 საწოლი ოთახის გარნიტური, 24 პიანინო და ბევრი სხვა ძვირფასი ნივთი, სულ 337.500 მანეთისა.

საავტორო ორგანიზაციებმა უკვე გამოჰყვეს საქონელი მოსახლეობისათვის მოგების გასაცნობად.

ა. კურინოვისა და ტ. კონოს ოთხგრძოლა

მოსკოვი სპორტის სასახლეში ორი დღეა გრძელდება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის უძლიერეს შტანგისტთა საერთაშორისო ტრადიციული ასპარეზობა მოსკოვის პიროზე. მრავალ წონაში პირველი ადგილი დაიკავა ა. ვახონინმა (332,5 კილოგრამი), ქვემსუბუქ წონაში — ე. კაცურამ (352,5 კილოგრამი).

მსუბუქ წონაში დიდი წარმატება ხვდა წილად ვ. ბაკანოვსკის (პოლონეთი). მან ატაცში აჩვეხა 130,5 კილოგრამი და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. ვ. ბაკანოვსკიმ პირველი ადგილი დაიკავა ავტორვე სამჭიდში შედეგით — 405 კილოგრამი.

საერთო ყურადღებას იპყრობდა ფიცარნაგზე მსოფლიოს ორი სახელმოხვეჭილი სპორტსმენის ა. კურინოვისა (სსრ კავშირი) და ტ. კონოს (ამერიკის შეერთებული შტატები) ორთაბრძოლა ქვეყნის საუმაღლო წონაში.

პირველი მოძრაობის შემდეგ წინ იყო ტ. კონო, მაგრამ მორიგ მოძრაობაში მან მიიღო შეფასება ნოლი და გავიდა ასპარეზობის მწყობრიდან. ა. კურინოვის შედეგი სტაბილური იყო. მან სამჭიდში აწია 430 კილოგრამი და პირველ ადგილთან ერთად მოსკოვის პრიზი მოიპოვა.



მაჩხი განმეორებით მედგგა

სსრ კავშირის კალათბურთის ფედერაციამ გადიხილა საკავშირო პირველობაზე არმაის ცენტრალური სასპორტო კლუბისა და თბილისის „დინამოს“ ეაქთა გუნდების მატჩის შეწყვეტის მიზეზი და პირიდო ბადაწყვეტილება მატჩის განმეორების ჩატარების შესახებ.

შეხვედრის დღე და ადგილი ცალკე იქნება გამოცხადებული.

ჯექსონი — მსოფლიო ჩემპიონი

ბრაზილ, 16 მარტი. (საკდესი). მსოფლიო ჩემპიონის წოდება ფიგურულ მოცეკვაეე ვაკეთა მსოფლიო პირველობის შეჯიბრებაში მოიპოვა კანადელმა სპორტსმენმა დონალდ ჯექსონმა. საბალეტბურო და ნებისმიერი პროგრამის შემდეგ მან მოაგროვა 2.277,1 ქულა. მეორე ადგილზეა კაროლ დივინი (ჩეხოსლოვაკია) — 2.255,9 ქულა, მესამეზე — ევროპის ჩემპიონი ალენ კლმა (საფრანგეთი) — 2.200,7 ქულა.

საბჭოთა სპორტსმენი ვალერი მეშკოვი მეთოთხმეტე ადგილზე გამოვიდა.

„ლოკომოტივს“—თასი

დამთავრდა საერთაშორისო ბაზრობისადმი მიძღვნილი ტურნირი ფეხბურთში. შეჯიბრებაში წარმატებით გამოვიდა მოსკოვის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელთა კოლექტივი, რომელმაც უკანასკნელ მატჩში ლაბარცხა ტუნისის გუნდი ანგარიშით 3:0 და პირველი ადგილი დაიკავა.

ლოკომოტიველებს გადაეცათ თასი და ოქროს მედლები.

„კომუნისტის“ შემდეგი ნომერი გამოვა 19 მარტს.

რედაქტორი

დ. მჟელიშვილი.

18 მარტი

თეატრები. ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — ბორჩისარიის შადრევანი (დღისით), აიდა (საღამოს), მე-6 აბონ. მე-8 სპექტაკლი), **რუსთაველის სახელობის** — ტერეზას დაბადების დღე (პრემიერა, დღისით და საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — მე, ბებია, ილიკო და ილარიონი (დღისით და საღამოს) **გრიბოედოვის სახელობის** — წესგარეშე თამაში (დღისით და საღამოს).

ტელევიზია: 11.30 — გადაცემა — „დღეს არჩევნებია“ (რეპორტაჟი საარჩევნო უბნიდან). რეპორტაჟის დამთავრების შემდეგ გადაცემები მოსწავლეთათვის, 12.00 — „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად“, 12.20 — საგუნდო მუსიკის კონცერტი, 12.40 — მხატვრული ფილმი „ბოთელი ეშმაკუნები“, 18.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.30 — კინონარკვევი, 18.40 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „მეგობრული ოჯახი“, 18.55 — საერთაშორისო მიმოხილვა, 19.15 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 19.55 — საბჭოთა კავშირის ხალხთა სიმღერები და ცეკვები, 20.55 — ახალი ამბები — სპეციალური გამოშვება, 21.05 — მხატვრული ფილმი „გრძელი დღე“.

ვარდი და ღიმილი

დღევანდელი დღე — 18 მარტი ორმაგი დღესასწაულია ჩვენში. დღეს ტარდება უმაღლესი საბჭოს არჩევნები, ვირჩევთ ხალხის საუკეთესო შვილებს და. ღრმა პატივისცემით ვიგონებთ უკვდავ პარიზის კომუნას.

პარიზელი კომუნარების მაგალითი საგმირო საქმეებს ჩაგონებს მსოფლიოს ყველა ხალხს, მათ შორის მამაც ფრანგ ხალხსაც, რომელსაც, მორის ტორეზის სიტყვით, „სისხლიანი ფაშიზმისაგან დაღუპვის საფრთხე ემუქრება“. გვჯერა, რომ გმირი ფრანგი ხალხი აიძულებს მის დღევანდელ მესვეურებს ხელი აიღონ ალჟირის სამარცხვინო ომზე, აღგვის ფაშიზმს, „ულტრების“ აღვირახსნილობას.

ამისათვის იბრძვის ფრანგი ხალხის სახელოვანი შვილი მორის ტორეზიც, რომელმაც 1960 წელს ინახულა საქართველო. მცხეთაში გაიცნო ახალგაზრდა ფრანგი ქალი, ყოფილი ქართველი პარტიზანის ოთარ კობაძეშვილის მეუღლე ეროზეტა. ამ შეხვედრას ეძღვნება ეს ნარკვევიც.

აღრე გაიღვიძეს მტრედგბმაც და ხმაშეწყობილი ღუღუნი გაგზეს.

— დილა, დილა შვილობრსს! — თქვა ასე გვილოცავდნენ დღის სამშვიდობიერ დაწყებას ჯერ კიდევ ბინდან აფურენელ მტრედები.

ახლა ნუნარ იკითხავ სხვა ჩიტუნების ყივა-ძახილ ჭაღრაკებს, თელებს, ბაკაციების ბტრებზე... ნინთა თუ არა, ცაში გაბინავრდეს ფრთოსნებმა.

ამ დღეს ადრე ადგა ეროზეტა. ჩიტის სტვენა შემოესმა. შეჩერდა. გულში რაღაც იღუმალი იმეღი, ფარული სიამე იგრძნო.

— კი ამბავი, ჩიტო, კი ამბავი! — ჩაიღაპარაკა ფრანგულად, როგორც ეს ბავშვობაში იცოდა ხოლმე ქალაქ ტულეში, სადაც იგი დაიბადა, და ღიმილით მიაპყრო ცისფერი თვალები ფრთოსან მახათრბელს.

კარგი ამბავი იმ დღეს მართლაც გაიგო.

მოდი, სიხარული ადრე გავამხილოთ, პირდაპირ ვთქვათ, რაც მოხდა!

ამა რას წარმოიდგენდა საფრანგეთში მეგრძოლი ყოფილი ქართველი პარტიზანის, ამჟამად მცხეთაში მომუშავე ოთარ კობაძეშვილის ახალგაზრდა მეუღლე, თუ ამ დღეს მოულოდნელად შეხვდებოდა თავის დიდ თანამემამულეს, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს მორის ტორეზს!

ეროზეტა დილითვე შეუდგა საოჯახო საქმეებს, როგორც ამას საყვარულით ეწევა ყველა კარგი დასახლისი. სამი ნოტრიი სალამაზით, ქართველთა გულგახსნილობით, სტუმართმოყვარეობით.

მეცოლეენი დახვეწების შემდეგ ტორეზმა ჩვენი უძველესი დედაქალაქის გაცნობა მოისურვა. იმავე დღეს, დილის საათებში, მცხეთისკენ დაიძრა მანქანების კოლონა.

ეი მცხეთაც...

ჯერ კიდევ შორიდან იქცევდა მგზავრის ყურადღებას მთაზე აღმართული ჯვარის მონასტერი. ამ ისტორიულ ძეგლს ტორეზი იცნობდა მ. ლერმონტოვის პოემის „მწვრის“ მიხედვით, ფრანგულად რომ ჰქონდა წაკითხული. მას გაეგობა სვეტიცხოველიც, ჩვენი ეროვნომოძღვრების ტრლუპოვარი სიტყვა, და ცხადია, უნახავი არ დატოვა იგი.

ზეადღის ზე აცოცდებდა მშვენიერ ვარდებს, როცა ძვირფასი სტუმარი მეგალე მიხეილ მამულაშვილს ეწვია.

ბალის კართან შეხვდა მოხუცი. მხეთანი წელში მოხრილა. მისი გული კი კვლავ ახალგაზრდული მგზნებარებით ეტოფის ყვავილებს, ძილშიც არ იკარგნეს მათ მშვენიერების ჯადოქარი მესიდემლე.

ახლაც ყვავილთა კონა ეჭირა დაკოქრებულ ხელში. სამოცდაათი წელია, რაც შრომისმოყვარე ბერიკაცის მარჯვენა ფაქიზად ეფერის, ფესვებს უმაგრებს, წყალს აპკურებს, ბალახებისა და მწერებისაგან სწმენდს ნარიფერ ყვავილებს. მისი სუფკეთესო სარტყარი მორის ტორეზისა და მისი მეუღლის ქანეტა ვერმერშისადმი სწორედ ეს ყვავილები იყო.

მოგრძანდნით! მობრძანდნით! — დიდნაზად მიესალმა მიხეილი და საუცხოო თაიგული უბოძა სტუმრებს.

ეს მოხდა სოფელ ბოგმში (ხაშურის რ.). ოთხი წლის გულამი ეზოში თამბაქოლებთან თამაშობდა. ამ დროს წისქვილიდან დაბრუნებულმა მამამ ელადიმეო გელაშვილმა სახიდარში შებმული ცხენი ეზოში დაიყენა, თვითონ კი სახლში შევიდა. ბიჭუნამ დრო იხელთა და სახიდარზე ავდგა ცხენი დაფრთხა და თან გაიტაცა გურამი. დამფრთხალ ცხენს ამაოდ დაედევნენ მშობლები და მეზობლები. თავაწყვეტილმა ცხენმა ოთხი კილომეტრი გაირბინა და ის იყო მდინარე სურამულაში უნდა გადაშვებულიყო, რომ კოლმეურნეობა „ზემო ქართლის“ ფერმის გამგემ სერგო ტატაევმა დამფრთხალ ცხენს მაჩქანთი მოუკრა გზა, სწრაფად გადმოხტა მანქანიდან, ზურგზე მოეკცა ცხენს და დამამორჩილა. ნორჩი სიცოცხლე გადარჩა.

სერგო ტატაევმა ჯურამის მშობლების და მთელი სოფლის მადლობა დაიმსახურა.

ს. ხეთაგური.

სიცოცხლე სიცოცხლისათვის

სიმბოლო გმირობისა და მეგობრობისა

გაზაფხულმა კარზე დაგვიკაკუნა. ბუნების გაღვიძების პირველი დღეა, მაგრამ ზამთარმა კუდი მოიქნია და თეთრი თოვლით დაფარა მიდამო. „ვოლგა“ ულელტეხილს შეუდგა, უნდა გადალახოს გადასასვლელი და გეზი ამბროლაურისაკენ აიღოს. მგზავრობა ჭირს. მძღოლი ყველა საშუალებას ხმარობს წინწასასვლელად. იგი ერევნიდან მოდის. ოთხასამდე კილომეტრი გამოუვლია, მაგრამ დაღლა არ ეტყობა.

ბობოქრობს ბუნება, ირგვლივ ცის გუმბათამდე აზიდულა მთები, პიტალო კალთებზე თოვლი ფეხს ვერ იკიდებს. უკან დარჩა კვანისა. თოვლი ახლა ლაფმა და ტალახმა შეცვალა. უჯირს მანქანას...

— არა უშავს რა, ნუ დელავთ, დღეს აუცილებლად მიგიყვანთ ამბროლაურში, — ეუბნება შავტუხა მძღოლი **ნუ**ბარ ვართანიანი სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრს ჰაიკ ხაჩატურის-ძე ხაჩანიანს და მანქანას სიჩქარეს უცვლის.

მატყუარაა მარტი. მზე ბეუტავს ღრუბლებიდან. მთის კალთებიდან ქვები ცურდებიან და ხევში შხეილით იყარგებიან. საშიშია მგზავრობა, მაგრამ მანქანა მაინც წინ მიიწევს. მთიდან ლოდები ჩამოშლილა, გზა ჩაუთოლია. სტუმრები ფრანგულად ებაასებიან ბოდნენ მცხეთის რძალს, ქართველები კი თავიანთ მშობლიურ ენაზე.

გასაგებია ეროზეტას დიდი მღელვარება. ოცდარვა აგვისტო უბედნიერესი დღე იყო მის ცხოვრებაში პარიზში დაქორწინების შემდეგ. ახლა მის თვალწინ იდგა დიდი ფრანგი მოღვაწე, ვინც ქართველ პარტიზანებთან ერთად გადაიღო სურათი ფაშისტურ გერმანიასთან ბრძოლის საშინელ წლებში. ტორეზთან ხომ მისი ქმარი ოთარიც არის გადაღებული. ახლა კი ტორეზი აქ არის, მცხეთაში...

მოულოდნელმა შეხვედრამ თითქოს ენა ჩაუგდო ეროზეტას. სურდა ძალა მოეკრიფა... თავი სიზმარში ეგონა. ეს შეაშინა ქანეტამ, მოეკიდა ხელი და გვერდით მოისვა ეროზეტა.

მშობლები ხომ გწერენ წერილებს?— შეეკითხა იგი.

— ხშირად ვიღებ წერილებს, ზოგჯერ ამანათსაც. მეც არ ვიყოვნებ პასუხს!

— გიყვარს საქართველო? როგორ შეეჩვევი აქაურობას? — მზრუნველობით მიმართა ქანეტამ და თვალებში მიაჩერდა.

— მიყვარს, ძალიან მიყვარს. მე ხომ სიყვარულით გავხოლდი ქართველზე. საქართველო ჩემი მეორე სამშობლოა!— თითქოს მღელვარება შეუნელდა, დინჯად უპასუხა ეროზეტამ და თანვე დასძინა, — ალბათ მალე მოგესწრება ჩემს ქმართან ერთად ვინახულო ჩემი პირველი სამშობლო — საფრანგეთი.

— ლამაზი, ძალიან ლამაზი ყოფილა საქართველო. ჩვენ იგი შუდამ გვეხსომება და გვეყვარება! — განაცხადეს გამომშვიდობებისას ტორეზმა და მისმა მეუღლემ.

— ნახვამდის, კიდევ გვესტუმრეთ! — ფრანგულად უთხრა ეროზეტამ და უკანასკნელად ჩამოართვა ხელი ბაღის კართან.

თბილისისკენ დაიძრა მანქანების კოლონა. წავიდნენ სტუმრები. შორიდან უმზერდნენ მცხეთის ნაირფერი ყვავილები, და ეროზეტას ცისფერი თვალები.

ვარლამ ჟურული.

* * *

სურათზე: მორის ტორეზი და მისი **მეუღლე ეანეტა ვერმერში (წინა კლანზე) მეოყვავილე ბ. მამულაშვილის ბაღში.**

ფოტო **ს. ონანოვისა** **და ვ. სტოლიაროვისა.** (საქდესის ფოტოკორონკა).

შეეთხვევა გზაში

ეს მოხდა სოფელ ბოგმში (ხაშურის რ.). ოთხი წლის გურამი ეზოში თამბაქოლებთან თამაშობდა. ამ დროს წისქვილიდან დაბრუნებულმა მამამ ელადიმეო გელაშვილმა სახიდარში შებმული ცხენი ეზოში დააყენა, თვითონ კი სახლში შევიდა. ბიჭუნამ დრო იხელთა და სახიდარზე ავდგა ცხენი დაფრთხა და თან გაიტაცა გურამი. დამფრთხალ ცხენს ამაოდ დაედევნენ მშობლები და მეზობლები. თავაწყვეტილმა ცხენმა ოთხი კილომეტრი გაირბინა და ის იყო მდინარე სურამულაში უნდა გადაშვებულიყო, რომ კოლმეურნეობა „ზემო ქართლის“ ფერმის გამგემ სერგო ტატაევმა დამფრთხალ ცხენს მაჩქანთი მოუკრა გზა, სწრაფად გადმოხტა მანქანიდან, ზურგზე მოეკცა ცხენს და დამამორჩილა. ნორჩი სიცოცხლე გადარჩა.

სერგო ტატაევმა ჯურამის მშობლების და მთელი სოფლის მადლობა დაიმსახურა.

ს. ხეთაგური.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები: თბილისი, ლენინის 14, ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 1-68-03, 8-08-67, პასუხისმგებელი მდივნის — 1-72-80, სამდივნოსი — 8-46-10, განყოფილებებისა, პარტიული ცხოვრების, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 1-57-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პრობლემების — 8-22-89, სოფლის მეურნეობის — 8-82-40, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 8-27-54, ლიტერატურისა და ხელოვნების, ინფორმაციის — 8-16-00, წერილების — 1-78-24, უცხოეთის — 8-85-01, სილუსტრაციო — 8-20-48, განცხადებების მიღების — 1-64-42.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

უე 00949

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.